სახალხო გაზეთი

№ 741 კვირა, 4 ნოემბერი 1912 წ. № 741

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კ., უკან 10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო-ჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა „შრომა“-ში, მუხრანის ქუჩა, და ეღირება 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და მ. მეტცლ და ამხ.-ის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „სახალხო გაზეთი“-ს რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე. საღამოთი [illegible]

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; [illegible] თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. [illegible] პარსკევს შეიძლება ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახ. № 6. ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისთვის: ტფილისი, ქართული „სახალხო გაზეთი“ 190.

ტელეფონ № 12-29

გაზეთის ფასი წელიწ. 8 მ. 50 კ. ცალკე № ყველგან 5 კ.
„ „ თვეში — 75 კაპ. დამატებიანი 7 კ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა.

პაპიროსები „გალლეია“ ამხ. „კომეტა“
25 ც.—15 კ. 10 ც.—6 კ. ქ. ტფილისი. 1574

კანტორისაგან

1912 წ. პრემია „გრდემლის“ მისაღებად უკანასკნელი ვადა არის მომავალი წლის 1 იანვარი, ამიტომ ვთხოვთ ყველას, ვისაც პრემია ერგება, ამ ვადამდე უსათუოდ მოიკითხონ, რადგანაც 1 იანვრის შემდეგ პრემია აღარ შეენახებათ და ყოველნაირი მიწერ-მოწერაც მიმდინარე წლის პრემიის შესახებ **უყურადღებოდ იქნება დატოვებული.**

სახალხო გაზეთი სურათებიანი დამატებით

მიიღება ხელის მოწერა 1912 წლისათვის.

(არ მიიღება ხელის მოწერა ცალკე, უდამატებოდ და არც სურათებიანი დამატება იყიდება ცალკე).

წელიწადში ღირს 8 მან. 50 კაპ.

1 გიორგობისთვიდგან წლის დამლევამდე ღირს 1 მ. და 50 კ.

თვეში ღირს — — 75 კაპ.

(როგორც ქალაქში, ისე ქალაქ გარეთ).

საზღვარ-გარედ თვეში ზედ-მეტი 25 კაპ.

წლ. ხელის მომწერთ (რომელთაც პრემია „გრდემლი“ ერგებათ) 8 მან. 50 კ. უნდა ჰქონდეთ გადახდილი შემდეგ ვადებზე: პირველად 3 მ., 1 მარტისსათვის 5 მან., 1 მაისისათვის 7 მ. და 1 მ. 50 კ. 1 ივლისამდე.

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის 1 რიცხვიდან, მხოლოდ სრული თვეებით და მხოლოდ მიმდინარე წლის ბოლომდე.

გაზეთს, ფულის მიღების უფლებით, არსად არავითარი აგენტი არა ჰყავს (გარდა წ.-კ. ს. მთავარ გამგეობის ტფილისის წიგნის მაღაზიისა) და ამიტომ პასუხს აგებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ფული ან ფოსტით არის გამოგზავნილი, ან პირდაპირ კანტორაშია მიღებული.

რედაქცია დაუბეჭდავ ნაწერების შესახებ ავტორებთან მიწერ-მოწერას არ ჰმართავს, თუნდ საპასუხო მარკაც იყოს გამოგზავნილი და დაუბეჭდავ წერილებსაც არ ინახავს. დანარჩენ შემთხვევაში ყოველ შეკითხვის ან რაიმე ცნობის შესახებ საპასუხოდ საჭიროა **ფოსტის მარკა**.

დანარჩენი პირობები იხ. გაზეთის სათაურში.

დავითი, კონსტანტინე და მღვ. გიორგი სვიმონის ძე ქავთარაძენი ულრმესის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ გარდაიცვალა მათი ძვირფასი მამა **დეკანოზი**

სვიმონ |ფარნა| დავითის ძე ქავთარაძე.

დასაფლავება დანიშნულია კვირას, 4 ნოემბერს, ძველ სენაკის ფერისცვალების ეკლესიაში წირვის შემდეგ. 1572

ტელეფ. № 795. ქართული თეატრი **ტელეფ. № 795.**

კვირას, 4 ნოემბერს, 1912 წ.

ქართ. დრამატ. საზოგადოების დასის მიერ წარმოდგ. იქნება **ვლ. ალექსი-მესხიშვ-ლის** მონაწილეობით **ცნობილი ტრაგედია კ. გუცკოვისა**

ურიელ აკოსტა,

5 მოქ. თარგმ. ი. ბაქრაძის მიერ.

მონაწილეობენ: ქ-ნნი დ. ვიღაშვილი, ჯავახიშვილი, ბ-ნნი ალ. ქაი-მესხიშვილი, აბდუშელი, ალექსიძე, გუნია, გ. დევდარიანი, ზარდალიშვილი, მატარაძე, სარაული, შალიკაშვილი.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე. ადგილების ფასი ჩვეულებრივია.

თეატრის დირექცია დიდზე ვითხოვს ბ. მაყურებელთ, ფარდის ახდამდე დასხდნენ თავიანთ ადგილებზე, რადგანაც ფარდის ახდის შემდეგ დარბაზში აღარავის შეუშვებენ.

ანონსი: ხუთ შაბათს, 8 ნოემბერს, წარმოდგენილი იქნება „ღალატი“.

1554 რეჟისორი **ვლ. შალიკაშვილი.** ქართ. დრამ. საზოგ. ადმინ.

კ. ი. ზუბალაშვილის სახ. ქალაქის სახალხო სახლი

კვირას 4 ნოემბერს, გაიმართება

სალიტერატურო დილა

სამს განყოფილებად. 1-ლი განყ. **მ. წულუკიძე** წაიკითხავს **ლექციას** შემდეგ თემაზე: **ქართული ლიტერატურა მე-XIX საუკუნეში ესკიზი-სხემა.**

2-რე განყოფ. სცენაზე: **კინტაური, გლეხური, კუპლეტები** და **ლექსები.** მანდოლინაზე და გიტარაზე დამკვრელთა გუნდი **ალ. კობიაშვილის** ლოტბარობით შეასრულებს **„ალავერდის“** და რამდენიმე ნომერს ოპერებიდან „კარმენიდან“ „ტრავიატიდან“ „ფაუსტიდან“ და სხ. 3-მე განყ. **კავკასიური ცეკვა: ლეკური, უზუნდარა, ბაღდადური, ჩაჩნური** და სხ. ცეკვაში მონაწ. მიიღებ. ელ. ციმაკურიძე, თელაკელი ნინა, რ. ყიფიანი, ოქროპირიძე, მ. ბახუტაშვილი, რომელმაც სამების დღესასწაულში ცეკვაში ვერცხლის ხანჯალი მიიღო საჩუქრად. მონაწ. მიიღებენ: ბ-ნნი ახრახაძე, რომანიშვილი, ახოსპირელი, იორდანიშვილი, სარაული, მჭედლიშვილი, გეურქა (თარზე დაუკრავს სოლოს), საფაროვი (მანდოლინაზე სოლოს), აკომპანიმენ. სტეფანოვისა. დაუკრავს **საზანდარი.**

დასაწყ. შუადღ. 12 ნახ. ს. ადგილ. ფასი 5—50 კ.

1569 გამგე **იორდანიშვილი.**

ქართულ დრამატიულ საზოგ. გამგეობა

ამით აუწყებს საზოგადოების წევრებს, რომ 28 ოქტომბერს არ შემდგარი

წლიური კრება საზოგადოებისა

მოხდება კვირას, ნოემბრის 4-სა ქართულ თეატრში, შუადღისას. 1554

ქართული თეატრი

ტფილისის ქართული ფილარმონიული საზოგადოება.

ორშაბათს, 5 ნოემბერს.

თავად-აზნაურთა თეატრში გაიმართება **მ. ტ. ვასილევ ს** მონაწილეობით

პირველი კვარტეტი (1-ლი სერიისა).

შესრულებულ იქნება: 1) ჰაიდენ კვარტეტი B—dur, 2) ბოროდინი, კვარტეტი № 2 D—dur, 3) ბახი a) პრელიუდია E—dur. ბეტჰოვენი, b) რომანსი G—dur, მოცარტი c) მენუეტტო D—dur, შეასრულებს მ. ტ. ვასილევი.

ტფილისის ქართული ფილარმონიული საზოგადოების კვარტეტს შეადგენენ: მ. ტ. ვასილევი—პირველი სკრიპკა, მ. პალცევი—მეორე სკრიპკა, ს. ი. პრესმანი—ალტი, ე. ნ. კოპელნიცკი—ვიოლონჩელი. კნ. ანდრონიკაშვილი-ციციშვილისა—აკომპანიმენტი.

ადსაწყ. 8 ს. ბილეთები იყიდება თეატრის კასაში. 1568

ბათუმში ქართული თეატრი.

კვირას, 4 ნოემბერს, ქართული დრამატიული დასის „მოგზაურის“ მიერ წარმოდგენილი იქნება:

პატარა კახი

საქართველოს მეფე ერეკლე მეორე

ისტორიული ლირიკული დრამატიული პიესა ლექსად

აკაკისა.

მონაწილეობას მიიღებს მთელი დასი. 770

ავლაბრის სახალხო თეატრი (მურაშკოსეული, თელავის ქუჩა).

ავლ. ბრის ქართულ სახალ წარმ მმართველი წრისა.

კვირას, 4 ნოემბერს 1912 წ. ავლ. ქართულ სახ. წარ. მმართველ წრის მიერ, ი. ივანიძის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება:

„დამარცხებულნი“

დრამა 4 მოქმ. ირეთელისა.

მონაწილეობას მიიღებს წრის დასი. **დასაწყისი საღამოს 8 ს.**

ბილეთების ფასი 4 კ. 50 კ. ლოჟები—1 მან. (4 ადგილი).

მორიგი წევრი კ. იმედაშვილი. რეჟისორი ი. ივანიძე. 1484

ახალი კლუბი

ქართული თეატრი

სამშაბათს, 6 ნოემბერს, ქართულ თეატრში

კონცერტი,

ცნობილ პიანისტისა ა. კ. ბოროვსკისა.

ლაურეატა საერთაშორისო კონკურსისა ა. გ. რუბინშტეინის სახელობისა. შესრულებულ იქნება **კონცერტი** C-moll, რახმანინოვისა ფორტეპიანოსთვის ორკესტრთან, ფანტაზია „დონ-ჟუანი“ ლისტისა და სხვ.

ბილეთების ფასი: პარტერში—3 მან.—1 მანეთამდე, ქანდარაში 60 კ. 20 კაპ.-მდე. ბილეთ. იყიდება თეატრის კასსაში. **დასაწყ. 8½ ს. სალ.** 1536

ტფილისის კერძო სამკურნალო

ახლად გადაკეთების შემდეგ, ავადმყოფები მიიღებიან ძმენიევის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 7, მიხეილის პროსპექტისა და მეტეხის სასტუმროს ახლო.

ტელეფონი № 590.

სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით, ცალკე ნომრებით და საერთო ოთახები განსაკუთრებითი საშუალებით განყოფილება.

მწოლიარე ავადმყოფთა მიღება შეიძლება ყოველ წამს, გარეშე მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი ექიმები-სპეციალისტები.

დგვითიანი რ. ს. (ყოველ დღე) 1—2.
მანსვეტაშვილი გ. მ. (ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ.) 2—3.
მაღალაშვილი გ. გ. (სამშაბ. და შაბათობით) 10—12.
მიქელაძე შ. ა. (ყოველ დღე) 12½—1.
ფედოროვი ე. გ. (ყოველ დღე, გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1

მარკევიჩი გ. ლ. კონსულტატი ყოველ-დღე 11½—12½.
მელიქიშვილი ნ. მ. (ყოველ დღე) 10—1.
ფირაძე [illegible] ნ. (ყოველ დღე) 12—1.

ექიმი-ქალი **გერბიცკი-ფირალოვისა ლ.** (ყოველ დღე) 11—12.
თიკანაძე ი. ე. (ყოველ დღე) 1—2.
მელიქიშვილი ნ. მ. (ყოველ დღე) 10—1.
ხულბაკოვი ა. ი. (ყოველ დღე) 12—1.

ექ. ქალი ბაქრაძე-დედაბრიშვილისა (ყო დღე, გარდა ოთხ.) 1—1½ ს.
მიქელაძე შ. ა. (ყოველ დღე) 12½—1.
ფედოროვი ე. გ (ყოველ დღე გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1.

ბედევანიშვილი მ. ა. (შაბათობით) 10½—11.
დგვითიანი რ. ს. (ყოველ დღე) 1—2.
ფონდოევი, გ. ს. (ყოველ-დღე) 1—2 ს.

ბოენიანცი ნ. ა. (ყოველ დღე) 12½—1½
ორჯემბოვსკი ნ. ს. (ყოველ დღე) 2½—3.

მუსხელიშვილი გ. ს. (ორშაბათობით, ოთხშაბ. და პარასკ. 2—2½.

დიასამიძე ა. ნ. (ყოველ დღე) 1—1½.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია. სისხლის გასინჯვა, ათამანგ. Wassermann. რჩევისათვის 50 კ., საწოლები 2 მ. დაწყებული. ცალკე ოთახი 5 მანეთიდან. მშობიარობა 10 დღე წოლით ღირს 40 მ. ოპერაციები, კონსულიუმი, შარდის ბუშტისა და მილების კატეტერიზაცია; „606“ „914“ და **წამლის შეშხაპუნება,** ელექტრონით წამლ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შესაფერისი საფასურით. წ. 1010.

დოქტორი მედიცინისა ბერლინის უნივერს. **გ. გ. მეგრაბიანცი**

წამლობა ჭლექისა, ფილტვებისა, ძვლებისა, და სხვა ორგანოთა ტუბერკულინ

შ ნაგან სნეულებით ავადმყ. წამლობა კიდევ რადიისა და ელექტრონის პრეპარატებით. იღებს ყოვ.-დღ. **ახალ ბინაზე** დილ. 9—12 ს. და საღამ. 5—7 საათ. ადრესი: **სოლოლაკი,** ბებუთოვის ქ., № 23 (განოვის ქ. კუთხე). **ტელეფ. 7—92.** 777

ბაქოს ქართულ სკოლაში განთავისუფლდა ადგილი

გამგე-მასწავლებლისა,

ჯამაგირი გამგისა წლიურად 900 მანეთი და ბინა, ანუ ბინის ქირა 300 მანეთი. მსურველთ უნდა გამოგზავნონ თხოვნები და სხვა საბუთები (Curriculum vitae) შემდეგის **მისამართით:** Баку, Бакинскому отдѣленію О-ва распространенія грамотности среди Грузин. нас. 1573

შეიძლება დაკვეთა:

ილია ჭავჭავაძის თხზულებანი

ექიმ მიხეილ გედევანიშვილის საგანგებო გამოცემა

წიგნი დაიბეჭდება ძვირფას ქაღალდზე; ილიუსტრაციებით; ძვირფასი ყდით; შეიცავს დაახლოვებით 600 გვერდს; მოთავსებული იქნება ყველა

ლექსი და ბელეტრისტული ნაწარმოები,

(აგრეთვე ჯერ დაუბეჭდავიც); ჩაერთობა მგოსნის ვრცელი ბიოგრაფია და მისი ნაწარმოებების კრიტიკული განხილვა. ფორმატი in quarto.

ფასი 8 მანეთი, რომლის გადახდა შეიძლება სამ ნაწილად; 3 მან. ხელის მოწერისთანავე, 3 მ. ენკენისთვეში და 2 მ. გიორგობისთვეში. ვინც 100 ცალზე ნაკლებს არ გამოიწერს, 10% დაეთმობა. გასასყიდად წიგნი არ გამოვა. დამკვეთელთ წიგნები დაურიგდებათ 1913 წელში.

წიგნის დაკვეთა შეიძლება: ტფილისში, ყორღანოვის ქუჩა, № 20, **ექიმ მიხეილ გედევანიშვილთან; და წერა-კითხვის საზ. წიგნის მაღაზიაში.**

ქუთაისში—წ. კ. ს. მდივან იასონ ბაქრაძესთან და იოსებ ოცხელთან.
ფოთში—იონა მეუნარგიასთან. **თელავში—თამარ აბაშიძესთან.**
სამტრედიაში—ბ. ი. სტურუასთან. **ხონში—ეფროსინე ჭიჭინაძესთან.**
სიღნაღში—ექ. ჯანდიერთან. **ბაქოში—ილია აგლაძესთან.**
სოხუმში—ნიკო თავდგირიძესთან. **ოზურგეთში—ექ. დიმ. ერისთავთან.**
ჭიათურაში—წ. კ. გ. ს. ირ. დეკანოზიშვილთან. **ერევანში—ელენე ვირსალაძესთან**

ბათუმში—ს. მდივანთან. კავკავში—სოფიო კალანდარაშვილთან. გორში—ნიკო ლომოურთან. ახალციხეში—როზალია ალელიშვილთან

ვინც წიგნის დასაკვეთად ფულს ფოსტით თვით გამომცემლის სახელზე გზავნის, მათთვის გასამართლებელ საბუთად საკმარისია თვით ფოსტის კვიტანცია. 1153



კალოშები

ტრეუგოლნიკ

1553

ქარხნის მარკა

კონიაკი და ლიკორი

ს. ს. შამპრიარსკისა

ტფილისი ელისაბედის ქუჩა № 166. 1570

იყიდება ვერაზე მიწა,

შემთხვევით ძლიერ იაფად,

900 ოთხ.-კუთხი საჟენი. არტილერიის საზარმებთან საქართველოს სამხედრო გზის პირად. მშვენიერი ალაგია სამოსახლოდ და აგრეთვე სავაჭროდაც ძლიერ მოხდენილია. პირობებ. გასაგებად მიმარ-ეთ ახალ მუხრან. ხიდთან, ეფთიაქში, **გ. ი. აბულაძეს.** 781

იძლევა იჯარით 7 ოთახი,

თავისი მოწყობილობითა და ერთი მეპურეს დუქნითა. მნაცაკანოვისა და ჩერსკის მისახვევში, კახეთის ქუჩ. ახლო. პირობების გაგება შეიძლება მუხრანის ქუჩაზე, **თომა ჯანყარაშვილთან,** დილის 8 საათიდან საღამოს 8 საათამდე. 742

ექიმი ზ. ა. მიქელაძე

იღებს **შინაგან და ბავშვათა სნეულებიან** ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5 ნახ.—6½ საათ. კახეთის ქ., № 6.

ელექტრონისა და რენტგენის

სამკურნალო

მიხ. გედევანიშვილისა

ავადმყოფებს იღებს ყოველ-დღე დილ. 12—1 ს., საღამოს 6—7 ს., **გაშინჯვა და გადაღება** რენტგენის სხივებით. ვერა. ყორღანოვის ქ. № 20. წ. 1022

ექიმი კბილისა და ღრძილებისა

პ. ა. ჭაჯაია

იღებს ავადმყოფებს დილით 8—2 ს. საღამოთი 3—7საათამდე. ელისაბედის ქუჩა, № 151. 1349

ექიმი ალ. სოლოლაშვილი

იღებს ავადმყოფებს 9—2 საათ. და 5—4 საათ. გოლოვინის პრ. № 12. 1334.

ქ. შ. წერა-კითხ. გამ. საზოგ. წიგნის მაღაზიაში
ისყიდება შემდეგი ხასიმღერო და საგალობელი ნოტები:
„ლიტურღია" ხუნდაძისა. გურულ იმერული კილო. . . 60 კ.
„ლიტურღია" კარბელაანთ კილო . . . . 40 „
„მწუხრი" ერთხმოვ. გალობა 15 „
„ცისკარი" II ნაწ. ვას. კარბელაშვილის. . . . . 1—50 „
„ცისკარი". ღმერთი უფალი სულხანიშვილი . . . . 35 „
აღდგომის საგალობელნი ქორიძისა . . . . 50 „
ახალი წიგნები:
„გრდემლი" სალიტერატურო კრებული II . . . . ფ. 1—50 „
ისტორია ოსმალეთის ყოფილი საქართველოსი ზ. ჭ. . 50 „
ქართველ მაჰმადიანთა დიდი გადასახ. ოსმალეთში. . . 50 „
„ყაჩაღები" შილლერ. ნათ. ნ. ა. 50 „
Къ матеріаламъ по исторіи и древностіямъ Грузіи и Россіи М. Джанашвили. 1—25 „
კონსტანტინე VI, უცნობი აფხაზთა მეფე. . . . . 15 „
გენიალოგია ბაგრატ VI აფხაზთა და ქართ. მეფისა. . 15 „
უკრაინის მგოსანი ტარას შევჩენკო. . . . . . . ფ. 10 „
ადრესი ტელეგრამისათვის: Тифлисъ Грамотность. 1141.

საგურამოზე
მშვენიერ ალაგას, ახლად აშენებულ ეკლესიისა და დიდუბის მომავალ ხიდის მახლობლად დაიჭრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაჭრებად ხელმისაწვდომელ ფასებში.
მსურველთ შეუძლიათ მიმართონ ოლღას ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე თაქთაქიშვილს დილის 8 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. საღამოს 5 საათიდან 8 საათამდე. უმორჩილესად ვთხოვთ მიწის მყიდველებს, რომ თავის დროზე შემოიტანონ დარჩენილი ვალი, თანახმად ჩვენგან მიცემულ კვიტანციისა. 1020

სამკურნალო
სპეციალისტ სამხედრო ექიმებისა გარედან მოსიარულე ავადმყოფთათვის. ვანქის დი. ქ.-ზე, № 3, ალექსანდრეს ბაღის მახლობლად. ტელეფონი № 483.
ფასი რჩევისათვის 50 კაპ.
ავადმყოფთა მიღება 9½-დან 5 ს.-დე.
ასპისოვი. ცხვირ., ყელ. და ყურისა. ყოველ-დღე. 1—2 საათამდე.
არგუთინსკი, შინაგ., ბავშვ. ყ.-დღ. 10 ს. 1½ ს.
ახვლედიანი შინაგან სნეულ. საბავშ. სამშაბათ. ხუთშაბათ. შაბათ. საღამოს 4—5 საათ.
ბოჟოვსკი. შინაგ. საბავშ. ორშაბ. ოთხშაბ. პარასკევ. საღამ. 4—5 ს.
მონსე. ბავშ. და შინაგ. ავად ორშ., ოთხშ. და პარასკ. 2—3 საათ.
ნოვიცკი. ქალთა ავად., ყ.-დ. 1—2 ს,
კალამკაროვი. ქალ. ავად. ყ.-დღ. 12—1 სათ.
უკლადნიკოვი. შინაგ. ავად. სამშ., ხუთშაბ. 4—5 საათ.
თეთრაძე. სიფ., ვენერ., კან. ყ.-დ. 1—3 ს.
ჩუდნოვსკი ი. ნერვ., სულ., ელექტროთერაპია, ყ.-დღე გარდა კ.-უქმისა 11½—12½
რუდენკო. შინაგ. ავად. კონსულტანტი ხუთშ., კვ. 3—4 ს.
ვესელოვზოროვი ქირურგ. ავად. ყოველ დღე, გარდა კვირ. დღ., 3—4 საათ.
ერმოლაევი—ბავშვ., შინაგან. ყ.-დღ. 1-2 ს.
იოსელიანისა ქალ. ავად., ორშ. ოთხშ., პარასკ., კვირ. 11—12 საათ.
ბესსერი შინაგ., ნევრ. ავადმ. — სამშ., ხუთშ., შაბ. კვ. 2—3 ს.
ბაგდოევისა, კბილ. ყ.-დღე 3—5 ს.
ლიმონი. კბილ. ყ.-დღ. 11—12 ს.
შამაში, ქირურგ. ავადმყ ყ დღ., კვ. გარდა 1½ 2½ ს.
კუნთებში შეუშხაპუნებენ და ძარღვებში შეუშვებენ „606"-ს
საღამოს 5—7 საათამდე.
კონსულტანტი ხირურგ. ავადმყ. დამსახურ. პროფეს. საიმპერ. სამხ. მედიკ. ავად. პროფ. მ. ს. სუბოტინი ორშ., ხუთშ. 3—4 საათ., წინადაწინვე ჩაწერით. 366.

ვაგზლის კერძო სამკურნალო
გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.
ვაგზლის ქუჩა. № 8. ტელეფონი № 695.
ე. ს. ვაშაკიძე. ყოველ დღე, შინაგან ავადმყ. 9½ ს. 10 ს.
ა. ნ. დიასამიძე. ყოვ. დღე, კვირ. გარდა, სიფილ. კანისა და ვენერ. 11—11½ ს.
გ. ა. პოპოვი. ყოვ. დღე, კვირ. გარდა ყელ, ყურ. და ცხვ. სნეულ. 11—11½.
ექ. ქალი იოსელიანისა—იღებს ქალთა ავადმყოფებს. სამშაბათობით ხუთშაბათობით და შაბათობით 11—11½ საათ.
ნ. მ. მელიქიშვილი ქირურგიული და ქალთა ავადმყ. 1—2 ს.
ივ. გომართელი.—ყ.-დღ. შინაგ. 2—3 ს. მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური-ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.
ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით,
წამლობა „606"-ით. 1018

ექიმი ს. ი. ბძილიშვილი
შიგნეულობისა და ვენერიულ ავადმყ. დილ. 9—11 საათ., საღ. 6—8 საათ. დიდუბე, საგურამოს ქ., (მუშტაიდის ბაღის შუაგულიდგან მარჯვნივ), № 21, ხრამელაშვილის სახლი. დღისით: 2—4 საათამდე. ბარონისა და ბაზრის ქუჩის კუთხე, № 14. 1411

ექიმი ი. ი. ბერიშვილი
სწამლობს საშარდე ორგანოთა, ათაშანგისა და კანის ავადმყ.; ვასსერმანის რეაქციით იკვლ. ათაშანგ. მოწამლ. სისხლს. მიღება ნაშუადღ. 3—5½ ს. ელისაბედ. ქ., № 94, სადოსტო განყოფი. პირდაპირ. 1530

ექიმი ა. ნ. დიასამიძე
კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოვ.-დღე ნაშუადღ. 2—3 ს. საღამ. 6—7 ს. ხუთშაბ. მხოლოდ დილ. 8—9 ს. კვირ. ავადმყ. არ იღებს. მიხაკოვის ქუჩა, № 3. ს. გაბაშვილისა.

ექიმი პ. არდაზიანი
შინაგან და ბავშვებ. ავადმყ (სპეციალ. ფილტვებ. სნეულ. რევმატიზმი-ქარები) ტფილისი, ალექსანდროვის ქუჩა, № 3. 11—2 ს. საღ. 5—7. 1045.

ექიმი კბილისა ნინო რცხილაძე
იღებს დილით 9—2 ს. საღ. 5—7 ს. ოლღას ქუჩის შესახვევი № 5, სახლი მაქარაშვილისა

ექიმი ქალი დ. გ. საყვარელიძე.
იღებს ავადმყოფებს ქალისა და საბებიო. ნაშუადღ. 1—2 ს., საღამოს 5—6 საათამდე. კიროჩნის ქუჩა, № 9. 595.

რამ დაღუპა ოსმალეთი?

ახალგაზდა ოსმალთა ფრანგულ გაზეთში „Le jeune Turc" (12 ოქტ. 1912 წ. № 282) დაბეჭდილია ფრიად საყურადღებო წერილი სტამბოლელ მუსულმან და ქრისტიან ქართველებისა. აი წერილის თარგმანი.

„ბატონო რედაქტორო! თქვენ პატივცემულ გაზეთის 10 ოქტომბრის ნომერში წავიკითხეთ მოსკოვიდამ გამოგზავნილი პეტერბურგის სააგენტოს დეპეშა, რომელშიაც ნათქვამია, ვითომც „ქართველებმა მოაწყეს კავკასიელთა შორის მოხალისეთა რაზმი ბალკანელ სლავიანთა დასახმარებლადაო". გვაქვს პატივი გაუწყოთ, რომ, შეწუხებულნი ამ მოულოდნელის ამბავით, ჩვენ შევეკითხეთ აქ მყოფ ქართულ გაზეთების კორესპონდენტებს, რომლებმაც ერთხმად აღიარეს ამ ცნობების სიყალბე. აღნიშნული დეპეშა უნდა იყოს შეთხზული ქართველ ხალხის მტრების მიერ. ამ მტრებსა ჰსურთ დახშონ ქართველთა გულში ჩანერგილი სიყვარული ოსმალეთისადმი. ჩვენ, სტამბოლის ქართველები, ენერგიულ პროტესტს ვაცხადებთ ამ გარემოების წინააღმდეგ და ვაცხადებთ, რომ, შეძლებისადაგვარად, საქმით თუ თანაგრძნობით, მზად ვართ დავეხმაროთ ოსმალებს. გულითადად გვწადია ოსმალეთის სრული გამარჯვება უსამართლო მტრებზე, რომელთაც თავიანთი ბოროტი პოლიტიკით ახალგაზდა ოსმალეთის განვითარების და პროგრესის შეფერხება სწყურიათ".

სტამბოლში მცხოვრებ მუსულმან და ქრისტიან ქართველთა მონდობილობით, **კოზალი**, კულელის სამხედრო სასწავლებელის ფრანგული ენის პროფესორი."

ამ წერილის შინაარსმა ძლიერ გაგვაკვირვა. ბალკანეთის ომი იმდენად დიდმნიშვნელოვანია, აზრი, რომელიც ასულდგმულებს ბალკანელ პატარა ერებს იმდენად ნათელია, რომ გაუგებარი რჩება ჩვენთვის სტამბოლელ ქართველთა თანაგრძნობა ოსმალეთისადმი. ჩვენ გვესმის კიდევ ქართველ მოხალისეთა რაზმების შედგენის წინააღმდეგ პროტესტი. ჩვენც არ თანაუგრძნობთ ამგვარ რაზმებსა (და რამდენადაც ირკვევა, არც მოწყობილია ამგვარი რაზმი). საქართველოს გარს ახვევია მეზობლად მცხოვრები მუსულმანობა. ამ ჩვენი მეზობლების ეროვნული თავმოყვარეობის პატივცემა გვმართებს. მაგრამ ეს კიდევ იმას არ ნიშნავს, რომ ჩვენ არ ვხედავდეთ და არ გვესმოდეს, რომ ბალკანეთის ომი ერთი იმ ომთაგანია, რომლის შედეგად დაჩაგრულ პატარა ერთა თავისუფლება იქნება აღიარებულ-დამკვიდრებული. სტამბოლელი ქართველები, გარემოების მიხედვით, იქნებ ვალდებულნი იყვნენ თანაგრძნობა გამოუცხადონ ოსმალეთს, მაგრამ, ჩვენის აზრით, შეცდომაში არავინ უნდა შეიყვანონ, როდესაც ხმა მაღლა ქართველთა გულში ოსმალების მიმართ ჩანერგილ სიყვარულზე ლაპარაკობენ და როდესაც არწმუნებენ ქვეყანას, ვითომც ქართველთა თანაგრძნობა ოსმალეთის მხარეზეა.

მართალია, მიუხედავად იმისა, რომ წარსულში მტრული დამოკიდებულება იყო საქართველოს და ოსმალეთს შორის და ოსმალეთმა დიდი ზიანიც მოუტანა ჩვენს ქვეყანას—მოგვწყვიტა საუკეთესო პროვინციები და შიგ ქრისტიანულ კულტურის კვალიც კი ამოაგდო—ქართველების გულში არ დარჩა სიძულვილი ოსმალეთისადმი. ეს ალბად იმ გარემოებით აიხსნება, რომ ჩვენ თავს შემდეგშიაც ბედნიერად არა ვგრძნობდით—მაშინ, როდესაც ოსმალეთი უშიშარი გახდა ჩვენთვის და „მფარველ" სახელმწიფოს კალთებს შევაფარეთ ჩვენი თავი. მაგრამ ჩვენ ძალიან კარგად ვხედავთ, რომ თუ დღეს იღუპება ოსმალეთი, ამის ბრალი მასვე ედება და სხვას არავის.

ოსმალეთის დაღუპვის ისტორია თვით მის უმწვერვალეს გამარჯვების და ძლიერების ხანიდან იწყება, იმ დროიდან, როდესაც ევროპაში შემოიჭრა და, დაპყრობისა და დამონების სურვილის გარდა, არც ერთის ჰუმანურის აზრით არ იყო გამსჭვალული, არც ერთ გონივრულ სახელმწიფოებრივ იდეით არ ხელმძღვანელობდა. საქართველო იმ ხანებში მწარის ტკივილით ჰგრძნობდა ამ პოლიტიკის გამანადგურებელ სისასტიკეს. სამცხე და შავშეთ-კლარჯეთი,—ბუდე ქართველთა კულტურისა, სინა, მშვენიერის ტაძრებით მორთული, კარგ გზებით, ლამაზ ხიდებით და დღესაც გასაოცარ წყლის სადენებით მოწყობილ დასერილი, მსხვერპლად შეეწირა დაპყრობის და მხოლოდ დაპყრობის სურვილით გამსჭვალულ დაბრმავებულ ძალას. დღეს, თუ რისიმე შეგნების უნარი აქვს ამ ძალას, უნდა ჰგრძნობდეს, რომ თუ იღუპება მხოლოდ იმიტომ, რომ იმთავითვე დაჰგმო და უარ-ჰყო სამართლიანობის და კაცთ-მოყვარების პრინციპი.

მართლაც, გაიხსენეთ ისტორია ოსმალეთისა ბიზანტიის დამხობის დროიდამ მოყოლებული. იგი მკვიდრდება ევროპაში. ჩნდება ახალი ფაქტორი ევროპიულ სახელმწიფოთა ურთიერთობაში. ოსმალეთი ძლიერია და მას ანგარიშს უწევენ. მან დაიპყრო ბალკანეთში მოსახლე ერები. ოსმალეთს დაემორჩილნენ ბერძნები, სერბიელები, ბოლგარელები, რუმინები და სხვანი. ოსმალეთის მიერ ამ ერების დაპყრობა მათს გადაგვარებას და განადგურებას მოასწავებდა. იგი სპობდა ეროვნულ თვისებებს—ენას, სარწმუნოებას, ეროვნულ დაწესებულებებს. ვინც მორჩილებას არ უცხადებდა, სიცოცხლეს ასალმებდა. და ყველა ამის შედეგი ის იყო, რომ აღნიშნულ პატარა ერთა თვითარსებობა დიდ განსაცდელში ჩავარდა: საუკუნოთა განმავლობაში შავ ღრუბლებით იყო გარემოცული.

ამგვარი პოლიტიკა უბედურება იყო არა მარტო დაპყრობილ პატარა ერთათვის, არამედ თვით ოსმალეთისათვისაც. როგორც აღვნიშნეთ, ოსმალეთის დამკვიდრებიდამ ევროპაში დასავლეთ სახელმწიფოებს ანგარიში უნდა გაეწიათ ამ ახალ ფაქტორისათვის, და უნდა სთქვას კაცმა, რომ ეს სახელმწიფოები იმთავითვე თავის სასარგებლოდ იყენებდნენ ოსმალეთის ყოველ მარცხს და შემცდარ ნაბიჯს. ოსმალეთი მეტოქე გახდა. მეტოქეს ან უნდა დაუმეგობრდე, რათა ამ დამეგობრებით გამორჩე რამე, ან ბრძოლა გამოუცხადო, რათა მოსპო და გაანადგურო. ასეთი ფსიხოლოგიაა მილიტარისტულ სახელმწიფოთა. და ევროპიულმა სახელმწიფოებმაც მიზნად დაისახეს ოსმალეთის განადგურება. ამისათვის ხან შეთანხმებულად მოქმედებდნენ, ხან ცალცალკე. ამის გულისათვის ხშირად უმეგობრებოდნენ კიდეცა ოსმალეთს, რათა ამ საშუალებით რაც შეიძლება მეტი სარგებლობა ენახათ იმისგან. პოლიტიკურ ვერაგობის მხრივ ქრისტიანული ევროპა არაფრით არ განირჩეოდა მუსულმანურ ოსმალეთისაგან. თითოეული სახელმწიფო თავის საზღვრების გაფართოვებას სცდილობდა, თითოეული სახელმწიფო იმის ცდაში იყო, რომ მეზობლისათვის რაიმე წაეგლიჯა. და თუ ერთმანეთს ეპყრობოდნენ ასე ქრისტიანული სახელმწიფონი, რა გასაკვირველია რომ ოსმალეთს აღარ დაინდობდნენ. ოსმალეთის ალაგმვა და დასუსტება თითქმის საქებურ საქმედაც გახდა. ჯვაროსნულ ომების ტრადიციები ჯერ კიდევ ცოცხალი იყო ევროპიულ საზოგადოებათა წრეებში. წმინდა ადგილების, იერუსალიმში აგებულ ქრისტიან-ტაძრების დაცვის საჭიროება თითქოს სარწმუნოებრივი გრძნობის მოთხოვნილებად გადაიქცა. და დაჩაგრულ ქრისტიან—ერების მოსარჩლება თითქოს ზნეობრივ ვალად აწვებოდა ევროპას. და ამ თვალთმაქც მოსაზრებით ზურგ-გამაგრებული ხან ერთი, ხან მეორე სახელმწიფო სხვა და სხვა პრეტენზიებს უცხადებდა ოსმალეთს და ეძებდა შემთხვევას ჩარეულიყო ოსმალეთის შინაურ საქმეებში. მეცხრამეტე საუკუნეში ეს გარემოება უცილებელ დოგმატად გახდა ევროპისათვის. და სწორედ ამ ხანში აღმოჩნდა ნამდვილი სარჩული ამ პოლიტიკისა. სახელმწიფოებს „ავადმყოფ კაცის" მამულისაკენ ეჭირათ თვალი. და ყოველთვის, როდესაც ეს „ავადმყოფი კაცი" ლოგინად ჩავარდებოდა, ხან ერთ ნაწილს წაათლიდნენ, ხან მეორეს შეუსლაპუნებდნენ.

მაგრამ, საბედნიეროდ, ადამიანთა სამეფოში მარტო ძარცვა-გლეჯის და ჩაგვრა-დამონების პრინციპი არ ბატონობს. რაც უნდა დაჰგმოთ ევროპიულ საზოგადოებათა ეგოიზმი, სიხარბე და ტლანქი მატერიალიზმი, ამავ საზოგადოებათა წიაღში ყოველთვის ჰბუდობდნენ განახლების და აღორძინების ელემენტები, აქ იყო რომ იშვა მეცხრამეტე საუკუნის პირველ ნახევარშივე ორი ღიადი პრობლემა კაცობრიობისა—შრომის განთავისუფლება კაპიტალის ძალმომრეობისაგან და ერის განთავისუფლება უცხო სახელმწიფოს ჩაგვრისაგან.

თავისუფლების მცნება ფრთებს ისხამდა და ჩაგრულთ გულს უმაგრებდა. ეროვნულ აღორძინების სერიის ფაქტები რომ გავიხსენოთ, ჩვენს თვალწინ გადიშლება დიდებული სურათი ერთა განთავისუფლებისა. გერმანიის გაერთიანება, იტალიის განთავისუფლება ავსტრიის ბატონობიდამ, განთავისუფლება, რომელსაც თან ახლდა ასეთი კეთილშობილური აღფრთოვანება; ამაზე უფრო ადრე საბერძნეთის აჯანყება ოსმალეთის წინააღმდეგ, აჯანყება, რომელიც თითქოს ძველ ელინურ სულის აღორძინების იმედს უღვიძებდა განათლებულ კაცობრიობას და რომლითაც ასე გატაცებული იყო მოუსვენარი „მეამბოხე" ლორდ ბაირონი. მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისიდანვე იწყება გამოფხიზლება და აღორძინება ოდესღაც ძლიერ სერბიისა, ბოლგარიისა და ბალკანეთში მცხოვრებ სხვა ერებისა.

სერბიამ მოახერხა და ვასალურ სახელმწიფოს უფლებები დაიმკვიდრა. რუსეთ-ოსმალეთის ომის დროს კი სერბია დამოუკიდებელი გახდა. ხოლო ბოლგარიას ამ დროს (1878 წ.) მიენიჭა ვასალური სახელმწიფოს უფლება. ამ რამდენიმე წლის წინად ბოლგარიამ ვასალობაც მოიშორა თავიდამ და დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გახდა. დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გახდა აგრეთვე რუმინია რუს-ოსმალთა ომის დროიდან.

მაგრამ ეროვნული პრობლემა ბალკანეთის ნახევარ კუნძულზე ჯერ კიდევ მაინც საბოლოვოდ გადაწყვეტილი არ იყო. ოსმალეთს ხელში შერჩა დიდი ნაწილი ბალკანეთისა, სლავიანებით და სხვა ერებით დასახლებული: მაკედონია, სადაც ბოლგარელები, სერბები, რუმინები და ბერძნები ეცილებოდნენ ერთმანეთს და ამასთან ჰგმინავდნენ ოსმალეთის სასტიკ რეჟიმისაგან; ალბანეთი, ნახევრად გამაჰმადიანებული, მაგრამ მაინც მოსურნე და მაძიებელი დამოუკიდებლობისა; სანჯაკი და ნოვი ბაზარი, სერბებით დასახლებული, ბოსნია და ჰერცოგოვინა, ისიც სერბებით დასახლებული. ეს უკანასკნელი პროვინციები ავსტრიამ მიისაკუთრა, რამაც გამოიწვია დიდი უკმაყოფილება სერბიაში.

უნდა ვსთქვათ, რომ რუს-ოსმალთა ომის შემდეგ ბერლინში მოწვეულ სახელმწიფოთა კონგრესზე გადაწყვეტილი იყო, სხვათა შორის, მაკედონიის და სომხეთის ავტონომიები (ეს უკანასკნელი მცირე აზიაში). მაგრამ ეს გადაწყვეტილება ცარიელ სიტყვად დარჩა. და ოსმალეთის საზღვრებში დაჩაგრულ ერთა უკმაყოფილება თანდათან იზრდებოდა. უკანასკნელ წლებში ამათ არაბეთიც მიემატა, რომელმაც წამოაყენა ავტონომიის მოთხოვნა. ასე რომ ადვილად წარმოსადგენია, რა ფუყე საფუძველი ჰქონდა ოსმალეთის სახელმწიფოს. მწარე გამოცდილებამ მას ჭკუა ვერ ასწავლა. რუს-ოსმალეთის ომის შემდეგ მის ხელში იყო საქმეების გამობრუნება და მკვიდრ ნიადაგზე სახელმწიფოებრივ შენობის აგება. მაგრამ ვინ დაეძებდა ამას. ჟლეტა, ხოცვა, განადგურება, ეკონომიური და ეროვნული დევნა არაოსმალთა,—აი რითი მოსწონდა თავი აბდულ-ჰამიდის მეფობას.

მაგრამ დადგა დრო, როდესაც ოსმალეთსაც გაეღიმა ბედი. თავისუფლების სიომ დაჰბერა, ოსმალნი განახლების გზას დაადგნენ და ჯარის დახმარებით კონსტიტუციონური რეჟიმი დამყარდა ოსმალეთში. აი ის მომენტი, როდესაც ოსმალეთს შეეძლო ფეხზე ადგომა, დაეკმაყოფილებინა ეროვნებანი და შეექმნა მკვიდრი ფედერატიული სახელმწიფოებრივი ორგანიზაცია, რომელიც უზრუნველ ჰყოფდა მის პოლიტიკურ არსებობას მაგრამ ეს ასე არ მოხდა. ახალგაზდა ოსმალებმა ვერ შეიგნეს განსაცდელი, რომელიც მოელოდა ოსმალეთს, მათ, როგორც უკიდურესს ცენტრალისტებს, ოტომანთა ძლიერება აღფრთოვანებდა. მათ სწადდათ ძლიერი ოტომანთა სახელმწიფოს დაარსება. ფედერალისტები და ავტონომისტები თავის დროზე აფრთხილებდნენ მათ: ნუ ღუპავთ საქმეს! თუ გინდათ ძლიერი ოსმალეთი, მიანიჭეთ ერებს ავტონომიები, უკმაყოფილება მოისპობა. კონსტიტუცია დაამკვიდრებს უფლებრივ წყობილებას და ერთსა და იმავე დროს ორი დიდი საქმე გაკეთდება—ეროვნებათა დაკმაყოფილებით სახელმწიფოს საძირკველი გამაგრდება და თანაც უფლებრივი წესი გამტკიცდებაო.

ცენტრალისტებმა არ შეისმინეს ეს გაფრთხილება და დღეს სწორედ ის მოხდა, რაც უნდა მომხდარიყო. სერბიას, ბოლგარიას, საბერძნეთს და ჩერნოგორიას მოსვენება არ ჰქონდათ იმის გამო, რომ მათი ტომის ხალხნი, დევნილნი ოსმალების მიერ, ხან მფარველობას სთხოვდნენ, ხან დახმარებას, ხან მიესევოდნენ ხოლმე მშიერ-მწყურვალნი და მძიმე ტვირთად აწვებოდნენ თავიანთ თანამემამულეთ. ოსმალეთის საზღვრებზე შფოთი. მკვლელობა და ძალმომრეობა მუდმივ მოვლენად გახდა. მოთმინების ფიალა ივსებოდა. მაკედონელები და ალბანელები გაიწურთნენ აჯანყების მოწყობაში. ბალკანეთი მღელვარებდა.

რას აკეთებდა ამ დროს ევროპის დიპლომატია? დრო-გამოშვებით პლატონიურ რჩევას აძლევდა ოსმალეთს რეფორმების შემოღების თაობაზე და არც ერთი სახელმწიფო, მოცილეობის შიშით, გაბედულ ნაბიჯს არა სდგამდა. განახლების შემდეგ ოსმალეთსაც თითქოს ეთაკილებოდა გარეშე სახელმწიფოთა თავისი შინაურ საქმეებში ჩარევისა და არწმუნებდა ევროპას, რომ დღეს-ხვალ იგი ყოველივეს მოაწყობს და ყველას დააკმაყოფილებს,

ნამდვილად კი ვერც არა მოაწყო რა, ვერც არავინ დააკმაყოფილა. ერთი რამ კი მოახერხა—თავისი პოლიტიკის მეოხებით შეაკავშირა წინად მოქიშპე ბალკანეთის პატარა სახელმწიფონი და ამ შეკავშირებიდან იშვა დიდი ძალა, რომელმაც საკუთარის ინიციატივით იკისრა იმ საკითხის გადაწყვეტა, რომელიც ვერც ოსმალეთს, ვერც დიპლომატიას ვერ გადაეწყვიტა.

დიპლომატია? იგი დარჩა ხახა-გამშრალი და ეხლა იმას ცდილობს, რომ სხვისი გამარჯვებაში პატარა წილი მაინც თითონაც შეინარჩუნოს. მაგრამ ბალკანელებს ეს დაუპატიჟებელი სტუმარი ვერაფრად ეჭაშნიკებათ, და მათი სურვილია ბალკანეთის ბალკანელების ხელშივე შენარჩუნება. მოახერხებენ თუ არა დღეს ამ განზრახვის სავსებით განხორციელებას, დანამდვილებით არა ითქმის რა. მაგრამ, რასაც დღეს ვერ დაასრულებენ, იგი ხვალ იქნება დაბოლოვებული. ერთხელ დაწყებული პროცესი ეროვნებათა განთავისუფლებისა, დღეს თუ ხვალ, ბოლო საზღვრამდე იქნება მოყვანილი.

აი რა ხდება დღეს ბალკანეთში. და საკვირველი ის არის, რომ სტამბოლელი ქართველები, ზემოდ მოყვანილ წერილის ავტორნი, არ ხედავენ და არ გრძნობენ იმ დიად ამბების დიად აზრს, რომელიც საკვირველის გარკვეულობით და ძლიერებით ისახება მიუდგომელ მეთვალყურის წინაშე.

არჩილ ჯორჯაძე.

ახალი ამბავი

ტფილისი

✦ **წვრილი კრედიტი სოფლად.** წვრილ კრედიტის საქმეთა საგუბერნიო კომიტეტმა ნება დართო, საკრედიტო ამხანაგობანი დააარსონ შემდეგს [illegible] ავსა ([illegible]-მაზრა) და წყლულკაზში (ტფ. მაზრა). ამას გარდა ნება დართო, შემნახველ-გამსესხებელი ამხანაგობა დაარსონ მანგლისში.

✦ **საქართველოს საეგზარხოსოს ოთხ ეპარქიისათვის ერთი საერთო სარევიზიო კომიტეტი არსდება.** თავჯდომარედ დანიშნულია სამრევლო სკოლების საოლქო მეთვალყურე დეკანოზი მ. პაშკევიჩი, ხოლო წევრებად: გორის ეპისკოპოსი ანტონი, დეკანოზი კ. ცინცაძე, მღვდელი ი. ლოზოვოი, მღვდელი ვ. დოლაბერიძე, ფოთის ტაძრის მღვდელი ბობოხიძე და სოხუმის ტაძრის მღვდელი მ. გვაზავა. კომიტეტის კრება მოხდება ტფილისში, წელიწადში ორჯელ.

✦ **სანატორიის სასარგებლოდ.** სოფლებ ბინაგადისა და ხურდალანის ნავთის მწარმოებლებმა ჰლექთან მებრძოლ საზოგადოებას 1000 მან. გადასცეს აბასთუმნის სანატორიის სასარგებლოდ.

✦ **ბუნების მეტყველთა და ექიმთა მე-XIII კრების** მოსაწვევ ხარჯის გასასტუმრებლად ქალაქის საბჭომ 1000 მან. გადასდო. ქალაქის გამგეობა შუამდგომლობს საბჭოს წინაშე, რათა ამას გარდა კიდევ 7,000 მან. გადასდოს.

✦ **გუბერნატორმა ნება დართო** დედათა მესამე გიმნაზიის მშობელთა ჯგუფს, 16 ნოემბერს „ტფ. საკრებულოში" წარმოდგენა გამართოს.

✦ **სახალხო გასართობთა საზოგადოებას** გუბერნატორმა ნება დართო ხელის მოწერით ფული შეაგროვოს.

✦ **ახალ სენაკიდან დეპეშით გვატყობინებენ,** რომ 2 ნოემბერს, აურაცხელ ხალხისა, წოდებათა, დაწესებულებათა, ადმინისტრაციის, სოფლის საზოგადოებათა და სამღვდელოების დანადასწრებით უკურთხებიათ მომრიგებელ სასამართლოს ქვითკირის შენობის საძირკველი. შენობის ხარჯი ნავარაუდევია ათას სამას თუმნამდე. ადგილი უფასოდ დაუთმო სოფლის საზოგადოებამ.

✦ გაზ. „იმერეთის" უკანასკნელ ნომერში მოთავსებულია ქუთაისის ქართული გიმნაზიის მასწავლებელთა კორპორაციის წერილი, რომელშიაც მთელი მასწავლებელთა კორპორაცია აღშფოთებულია ბ. ბელტის წერილით, რომელიც მოთავსებული იყო გაზ. „თემის" მე-94 ნომერში და, რომელშიაც ბ. ბელტი ბ. სილოვან ხუნდაძეს ეძახის მრუდე პედაგოგს.

✦ გამოვიდა და იყიდება ყველგან ყოველ კვირეული **ჟურნალი „შრომის კავშირი"**—გამოცემა ქუთაისის მომხმარებელი საზოგადოების „პროგრესი"-სა—შემდეგის შინაარსით: 1) მეთაური—კოოპერაციის იდეალები; 2) წერილები მომხმარებლისადმი; 3) ბელგიის კოოპერატივებში; 4) წვრილი (კოოპერატიული) კრედიტის თეორია (ლექცია პროფესორ ჟელეზნოვისა; 5) ხალხის მოსარჩლე (სცენები სოფლის ცხოვრებიდან) 6) თეატრი და მომხმარებელი საზოგადოება; 7) საკოოპერაციო მოძრაობა ინგლისში და მრავალი სხვა. ჟურნალი აკინძულია და ღირს ერთი შაური.

✦ **ხორცის ნიხრი.** 2 ნოემბერს ქალაქის საბჭოს სამეურნეო კომისიის კრება მოხდა. კომისიამ ხორცის ნიხრს მოუმატა. გირვანქა ხორცზე დააწესა; ძროხისაზე—12 კ., ცხვრისაზე—14, ხოლო ღორისაზე—14.

✦ **საქალაქო მიწები.** ქალაქის თვითმმართველობას ნავთლუღში, რკინის გზის გადაღმა, მიწა აქვს. ეს მიწა აქამდე არავის აინტერესებდა, ხოლო ახლა ბევრმა მიაქცია ყურადღება და იმის ყიდვის სურვილი განაცხადა. ასეთი მოთხოვნილება ამ მიწაზე გამოწვეულია იმით, რომ იქვე მახლობლად „საუნივერსიტეტო ადგილი" მდებარეობს. ამას გარდა იქვე უნდა გაიაროს კახეთის მომავალმა რკინის გზამ. ქალაქის გამგეობამ ეს ადგილი ნაჭრებად დაჰყო და გაყიდვას აპირობს. მიწა სამ კატეგორიად გაჰყო. პირველი კატეგორიის მიწა ოთხკუთხი საჟენი—ღირს—5 კ., მეორისა 10 კ. და მესამისა—15 კ.

✦ ქალაქის გამგეობამ **ახალ სავალდებულო დადგენილებათა პროექტი** შეადგინა, რომელიც შეეხება ქალაქის ბაღებისა, პარკებისა და ბულვარების დაცვასა და სისუფთავეში შენახვას. პროექტი განსახილველად ქალაქის საბჭოს წარედგინება ამ მოკლე ხანში.

✦ განზრახულია, ალექსანდრეს ბაღს რამდენიმე საჟენი მიწა ჩამოს-

კრან **ზარიათინის ქუჩის გასაფართოვებლად.** ამ საგნის თაობაზე გამგეობას საგანგებო, მოხსენება აქვს შედგენილი და განსახილველად ქალაქის საბჭოს მოკლე ხანში წარუდგინება,

✦ **ქალაქის 1913 წლის ხარჯთაღრიცხვას** ქალაქის საბჭო 5 ნოემბრის კრებაზე განიხილავს. ხარჯთაღრიცხვას თან ულევს ქალაქის საბჭოს საბიუჯეტო-საფინანსო კომისიის დასკვნა.

✦ ქალაქის გამგეობამ დაადგინა, 7,130 მან. გადასდოს **ვაკეში ქვაფენილის დასამთავრებლად.** ამ საკითხს საბოლოოდ ქალაქის საბჭო 5 ნოემბრის კრებაზე გადასწყვეტს.

✦ წელს დონის-როსტოვში გამართულ გამოფენაზე, სხვათა შორის, **„კამეტას“** ამხანაგობას მიუღია დიდი ოქროს მენდალი სამრეწველო-განყოფილებისაგან კარგი ღირსების თამბაქოს ნიმუშებისათვის და დიდი ოქროს მენდალი სამეურნეო განყოფილებისაგან, დაუჭრელ თამბაქოს საუკეთესო ნიმუშებისათვის.

✦ **რედაქციამ მიიღო** საყმაწვილო ჟურნალ „**ნაკადულის**“ მე-10 ნომერი [illegible] და მე-20 მცირე წლოვანთათვის. პირველში მოთავსებულია: ქაჯი—ლექსი გეთსი—თარგ. ა. შანშიაშვილისა, ნადირობა—ი. ევდოშვილისა, ლექსი თურდოსპირელისა, გიგლა ბიჭი—ვ. თამროშვილისა, თეთრი მონა თარ. ელ. ანტონოვსკისა, მამა და შვილი (ლექსი) ქუჩიშვილისა. მემამულე (იგავი) ა. მირიანაშვილისა, ბეთხოვენის სიკვდილი ან. ივანაშვილისა, საქართველო—მ. ჯანაშვილისა, ყინულის მთა—ლ—ისა, მითოლოგია—ალ. მიქაბერიძისა, ომი ბალკანეთის ნახევარ კუნძულზე, გასართობები.

მეორეში: კოლას მაჟითადი—ლექსი ი. სიხარულიძისა, ფელამუში—ლეო იმნაძისა, ჰაერში მფრინავი—ვ. თამროშვილისა, ნამცეცა—ზღაპარი ანდერსენისა (თარგმ.) ნინო ნაკაშიძისა, ზღვის ძაღლის ჩანთა—ვაგნერის—თარგმ. დ. ყიფიანისა. გასართობები.

✦ 2 ნოემბერს ტფილისში 47 უპასპორტო შეიპყრეს.

✦ 2 ნოემბერს ნიკოლოზის ქუჩაზე იპოვეს ჩვრებში შეხვეული ბავშვი, მამრობითის სქესისა, დაახლოვებით ერთის თვისა. ამავე დღეს ბაქოს ქუჩაზე იპოვეს ჩვრებში შეხვეული ბავშვი, მდედრობითის სქესისა. დაახლოვებით ორის თვისა. ბავშვები ოლგას საზებიო ინსტიტუტში გაგზავნეს.

საზოგადოებანი და კრებები

✦ **ქართულ დრამატიულ საზოგადოების** წევრთა წლიური კრება მოხდება დღეს, 4 ნოემბერს, შუადღისას, ქართულს თეატრში. წარსულ კვირისთვის დანიშნული კრება არ შესდგა წევრთა კანონიერ რიცხვის დაუსწრებლობისა გამო. ამიტომ დღევანდელი კრება, როგორც მეორე, კანონიერად ჩაითვლება, რამდენიც უნდა წევრი დაესწროს.

✦ **ქალაქის საბჭოს საადგილმამულო კომისიის** კრება 1 ნოემბერს მოხდა ს. თ. ჭრელაშვილის თავჯდომარეობით. განსახილველი იყო საკითხი: როგორ მოუარონ საქალაქო ცარიელ მიწებს, რომელიც ამ ჟამად უპატრონოდ არის და ქალაქს არავითარს სარგებლობას არ აძლევს, კომისიამ დაადგინა: 1) მოიწვიოს აგრონომი, რომელსაც დაევალება, შეისწავლოს კუკიისა, ავლაბრისა, ნავთლუღისა და ავჭალის საქალაქო მიწები და დაამუშაოს, სადაც ეს შესაძლებელი იქნება, 2) სთხოვოს ქალაქის გამგეობას, რათა საგანგებოდ ჰიდრავლიკი მოიწვიოს, 3) საქალაქო მიწიდან გამოჰყოს ერთი დესეტინა მიწა, ლობე შემოავლოს და იქ საცდელად ბაღანი დაათესვინოს სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების აგრონომს ფირუმოვს, 4) ეთხოვოს ქალაქს რათა 100 მან. გადასდოს წინასწარ სამუშაოს დასაწყებად.

✦ დღეს, შუადღის 12 საათზე, ქართულ თეატრის დარბაზში დანიშნულია **წლიური კრება ქართულ დრამატიულ საზოგადოებისა.**

✦ **სახლის პატრონთა და მდგმურთა საზოგადოების** საბჭოს კრება 2 ნოემბერს მოხდა ა. ს. ზაბოვის თავჯდომარეობით. საბჭომ საზოგადოების პაი 100 მან. განსაზღვრა. ამას გარდა საბჭომ მსჯელობა იქონია თავის მომავალ მოქმედების შესახებ.

✦ დღეს კრება ექნება ქალაქის გამგეობის მიერ არჩეულ საგანგებო კომისიას. რომელსაც დაკალებული აქვს, განიხილოს წინადადებანი ინჟინრების სტიუარტისა და ტარისისა, რომელთაც სურთ, ქალაქს ელექტრონის ძალა აძლიონ.

✦ **ქალაქის საბჭოს** მორიგი კრება ორშაბათს, 5 ნოემბერს მოხდება. განსახილველი აქვს 19 საქმე.

ადესსა

✦ ქვანახშირი ძლიერ დაძვირდა, ფუთი 34—36 კაპ. ბევრი ქარხნები იკეტება. მიზეზად სამხრეთ-ეკატერინოსლავის სინდიკატს ასახელებენ.

✦ გემები ნავთსადგურში ნაკლებ შემოდის — ოსმალეთ-ბულგარეთის ომის გამო. აუარებელი უმუშავარია.

✦ უნივერსიტეტის რევიზია ნოემბრის პირველ რიცხვებში დამთავრდება. ამბობენ, ბევრი ბოროტ-მოქმედება აღმოუჩენიათო. კურსი უნივერსიტეტის ადმინისტრაციის მოქმედებისა მაინც არ შეიცვლება. ხმები, ვითომც ცნობილი **გერიჩი**, უნივერსიტეტის საბჭოს მდივანი, სამსახურს თავს ანებებს, ტყუილია.

ჟურნალისტის დღიური

96.

პასუხად ი. კარგარეთელს

ბ-ნმა კარგარეთელმა მიპასუხა. პასუხს მაშინა აქვს მნიშვნელობა, როდესაც იგი მიმართულია იმ ბრალდებისკენ, რომელიც მოწინააღმდეგემ წამოაყენა. ბ-ნი კარგარეთელი კი ასე არ მოიქცა. მე აღვნიშნე მხოლოდ ერთი გარემოება: არ შეიძლება ფილარმონიულ საზოგადოების გულწრფელმა მეგობარმა თავად-აზნაურობას ურჩიოს—მოუსპე სუბსიდია დაწესებულებას, რადგანაც ბევრი რამ მის მოღვაწეობაში არ მოსწონსო. უნაკლულო არც ერთი დაწესებულება არ არის. განა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების მოღვაწეობა სრულიად უნაკლულოა? განა დრამატიულ საზოგადოებას ვერ შეგვიძლიან ვუსაყვედუროთ, განა ესეც არ შეიძლება ითქვას სხვა მრავალ ქართულ საზოგადოებაზე? მაგრამ არავის აზრადაც არ მოუვა ურჩიოს თავად-აზნაურობას, მოუსპე სუბსიდია ქართულ კულტურულ დაწესებულებებს, რადგანაც მათს მოღვაწეობაში დეფექტებიც არისო. ასეთი აზრი მარტო ბ-ნ კარგარეთელს მოუვიდა თავში. ეს კი მხოლოდ იმით უნდა აიხსნას, რომ ბ-ნ კარგარეთელს იმდენად ფილარმონიული საზოგადოება არ აინტერესებს, რამდენადაც სხვა რამ. ეს რომ ასე არ იყოს, იგი სულ სხვანაირად მოიქცეოდა. ფილარმონიული საზოგადოება კერძო პირთა საკუთრება არ არის. იგი საზოგადოებაა. მაშასადამე, ყველას შეუძლიან წევრი გახდეს და თავისი წვლილი შეიტანოს მის მოღვაწეობაში. ვისაც არ მოსწონს ფილარმონიულ საზოგადოების მოქმედება, თვითონ უნდა ჩაებას საქმეში და ისეთი მიმართულება მისცეს, რანაირიც სასარგებლოდ მიაჩნია.

ბ-ნი კარგარეთელი კი რომელიღაც ერთს პირს აბრალებს ყველაფერს. ვფიქრობ და ვერ წარმომიდგენია, როგორ შეუძლიან ერთს ადამიანს, ისიც ამორჩეულს, თავის სურვილისამებრ ატრიალოს მთელი საზოგადოების ბედ-იღბალი. მთავრობას ამხობენ, სახელმწიფოებრივ წეს-წყობილებასა სცვლიან, და რა გახდა ისეთი ერთი ადამიანი ისიც არჩეული, თუ თვით საზოგადოებას მართლა საჭიროდ და სასარგებლოდ მიაჩნია მისი დამხობა?

მაგრამ ალბად საზოგადოებრივი ინსტინქტი მათში პირადს სიმპატია-ანტიპატიაზე ძლიერი ყოფილა, რასაც საუბედუროდ, ბ-ნს კარგარეთელზე ვერ ვიტყვით. ჩვენ მხოლოდ ამ გარემოებას მივაქციეთ ყურადღება. არავითარი სურვილი არა გვაქვს დავფაროთ ფილარმონიულ საზოგადოების დეფექტები, მით უფრო, გამოვესარჩლოთ ამა თუ იმ პირს. მე მალაპარაკებს მხოლოდ საზოგადოების სარგებლობა. იმ პირს, რომელსაც ბ-ნი კარგარეთელი ჰგულისხმობს, თავისთავად ჩემთვის ისეთივე მნიშვნელობა აქვს, რანაირიც სხვა ქართველ მუსიკოსს. თუ კარგარეთელი ეჭვს შეიტანს ჩემს გულწრფელობაში, ეს თავის ნებაა. მე არავითარი საშუალება არა მაქვს დავაჯერო.

ბ-ნი კარგარეთელი ეხება ფილარმონიულ საზოგადოების დეფექტებს და მთელს ბრალს ერთს კაცს სდებს. მე კი მგონია, ბოროტების სათავე სულ სხვაგან უნდა მოვსძებნოთ. დამისახელეთ ასი ქართველი მუსიკოსი, რომ ერთმანეთის თანხმობით მუშაობდნენ? არ არის თანხმობა, და არც იქნება იმ დრომდე, სანამ საზოგადო საქმე ზვარაკად ეწირება პირადს თავმოყვარეობას. ღვთით, მუსიკოსებით არც ისე ღარიბნი ვართ, როგორც ვწუწუნებთ. თუ მაინც არაფერი კეთდება, მხოლოდ იმიტომ, რომ მათს შორის არავითარი სოლიდარობა არ არსებობს. არც ერთი მათგანის გული გამთბარი არ არის საქმისადმი წრფელ სიყვარულით. ეს რომ ასე იყოს, ადვილად დაივიწყებდნენ წვრილმან ხასიათის უთანხმოებას, თავისუფლებას არ მისცემდნენ პირად თავმოყვარეობის გრძნობას. აი, რითი ვართ ღარიბები, აი რა ჰკლავს სათავეშივე ქართულ მუსიკის განვითარების საქმეს?

დაივიწყეთ პირადი უთანხმოებანი, გაუწოდეთ ერთმანეთს დახმარების ხელი და ერთბაშად დარწმუნდებით, რომ ქართულ ეროვნულ მუსიკის განვითარებას წინ აღარავითარი დაბრკოლება არ ელობება.

შინაური.

პასუხი

შენ თუ ნაზი შენის ხმით ხარ,
მეც ნაზი მაქვს სიყვარული;
მაშ სად არის, აბა მითხარ,
ორჰოფობა დაფარული?!..

ტრფობით ლექსი მოგიძღვენი,
აგიწერე სილამაზე;
შენ კი დამრჩი გულ-ნატკენი,
გაგაბრაზე! გაგაბრაზე!

მე რა ვქნა, რომ მზეზე სჭკნება
ეჭვის ვარდი გულ-მკერდ ღია?!.
მე რა ვქნა, რომ შენც ოცნება
სინამდვილედ მიგიღია!

ი. გრიშაშვილი.

ბალკანეთის ომი

დეპეშები.

ბულგარეთის მხრით.

მუსტაფაშა. 28 ღვინობისთვეს ოსმალები ადრიანოპოლიდან იერიშით მივიდნენ ბულგარებზე. ბულგარებმა ზარბაზნების სროლით უკუაქციეს ოსმალები. უკანასკნელთ ძლიერ დიდი ზარალი მოუვიდათ. მდინარე არდის მარცხენა ნაპირზე, ეს მეოთხე დღეა საშინელი სისხლის მღვრელი ბრძოლაა გაჩაღებული. ოსმალები მედგარ წინააღმდეგობას უწევენ პაპას-თეპესთან და შუკრი-თეპესთან. ოსმალებმა აქ ამ ბრძოლაში დიდი ძალა გამოიჩინეს. ბულგარების გულის ყური ბეკჩი-თეპეს დაპყრობისკენ აქვთ მიქცეული. ამის შემდეგ ადრიანოპოლამდე დარჩება მხოლოდ ერთი სიმაგრე—ყარააგაჩი.

სოფია. „მირის“ ცნობით, ბულგარების ჯარმა გაარღვია ჩათალჯის დამცველი ჯარი. ოსმალების მდგომარეობა უიმედოა. „მირის“ აზრით ომს უკვე ბოლო უახლოვდება. ოსმალეთი ჩათალჯის აღების შემდეგ ომს აღარ გააგრძელებს, რადგანაც საუკუნოდ მოეღება ბოლო.

სერბიის მხრით.

უსკიუბი. მემკვიდრე ალექსანდრე, ავადმყოფობის შემდეგ ჯარში წავიდა. მონასტრიდან არავითარი ცნობაა. იქ თავს იყრის სერბიის ჯარი. მოსალოდნელია სასტიკი ბრძოლა.

ბელგრადი. მონასტერთან ბრძოლა სამი დღის წინ დაიწყო. წყალდიდობა და ჭაობები სერბიელებს მოქმედებას უშლის. ჯარს მემკვიდრე უფროსობს. მესამე ლაშქრის ნაწილი ადრიატის ზღვისკენ გავიდა და დაიჭირა სანაპიროები მედუიდან ლეშამდე. დაარსეს ზღვის სანაპიროების ოლქი. სერბიამ თავისი ადმინისტრაცია ჩააყენა.

საბერძნეთის მხრით.

ათინა. საბერძნეთის ჯარი ლადოხის მეთაურობით სალონიკიდან მონასტერში გაემართა. ავლონიდან გამოქცეულებმა ცნობა მოიტანეს, რომ არტუზში ალბანელებს კრება მოუხდენიათ და ალბანიას ავტონომია გამოუცხადებიათ.

ათინა. აღებულია ნახევარ კუნძული ხალკიდიკა.

ოსმალეთი.

სტამბოლი. მოვიდა გერმანიის კრეისერი „ჰეომენი“. სმირნაში საალყო წესი გამოაცხადეს.

სტამბოლი. ხმები, ვითომც ოსმალები ჩატალჯის უბრძოლველად ანებებენ ბულგარეთის ჯარს სიმართლეს მოკლებულია. გარეშე საქმეთა მინისტრი ნურალდენგიანი ირწმუნება, ჩატალჯთან ბრძოლა არც კი მომხდარაო.

შემჩნეულია რამდენიმე შემთხვევა ხოლერით ავადმყოფობისა. ქალაქი საშიშ მდგომარეობაშია. მთავრობა ზომებს იღებს არეულობა თავიდან აიცილოს.

სტამბოლი. გუშინ დერკოსთან შეტაკება მოხდა. ბულგარებმა აიღეს კარაბურნუ და ილდიზ-ტაბია. შეტაკებას მოელიან ბიუკს-ჩეკმეჯის სამხრეთით. ჩატალჯის ჯარში ავად გახდა ხოლერით 3,000 კაცი. 200 აფიცერი, ბრძოლის ველიდან გაქცევის გამო, სამხედრო სასამართლოს განაჩენით დახვრიტეს.

გაზეთებიდან.

ბულგარეთის მხრით

სტამბოლისაკენ.

ლონდონიდან იუწყებიან: ჩათალჯასთან სრული არევ-დარევა და შიშის ზარი მეფობს. ნაზიმ-ფაშა დეპეშით ატყობინებს დიდ ვეზირს, რომ მას აღარ ძალუძს ბულგარების იერიშის შეკავება. სამხედრო პირთა აზრით, ჩათალჯის ციხე დიდხანს ვერ გაუძლებს ბულგარელებს, რადგან ოთხ ახალ სიმაგრეთაგან მხოლოდ ერთია მოთავებული, სამი კი ცოტათი შეალამაზეს მიწურებით. ჰფიქრობენ, რომ ბულგარები დამხმარე ჯარის მისვლას უცდიან, რათა ერთის დაკვრით შემუსრონ ოსმალთა უკანასკნელი საფარი.

ბულგარები და ოსმალეთის ფლოტი.

მარმარილოს ზღვის ნაპირზე, ქ. როდოსტოთან მოხდა ბრძოლა ბულგარებისა და ოსმალეთის სამხედრო ფლოტს შორის. ქალაქის ირგვლივ გორაკებზე გამოჩნდა ბულგარების 5.000 რაზმი სამი ბატარეით. ოსმალეთის ჯავშნოსანმა „მესუდიემ“ და ხუთმა ნაღმოსანმა ზღვიდან სროლა აუტეხეს. ღამის წყვდიადმა გაჰყარა მებრძოლნი. ქალაქში რამდენიმე შენობა დაზიანდა.

ადრიანოპოლის ალყა.

ადრიანოპოლის გარშემო განუწყვეტელი ბრძოლაა. ორივე მხარე განსაკუთრებით ყურადღებას სოფ. მარაშის აღებას აძლევს, რომელიც სამხრეთ-დასავლეთის სიმაგრეთა გასაღებს წარმოადგენს. მრავალ იერიშის შემდეგ, მარაში ბულგარელებს დარჩათ. 29 ოქტომბერს ბულგარელების მიერ წართმეული სიმაგრეები: პაპას-ტეპე და ქართალ-ტეპე მით არიან მნიშვნელოვანი, რომ იქიდან ხელის გულივით იშლება მთელი ქალაქი, რაც მეტად აადვილებს ბულგარეთის არტილერიის სროლას.

სერბიის დამხმარე ჯარი.

უსკიუბიდან იტყობინებიან: სერბიის მეორე ლაშქარი, რომელიც ტიმოკისა და დუნაის ორი დივიზიისაგან შესდგება, ღენ. სტეფანოვიჩის მეთაურობით ადრიანოპოლთან მივიდა უკვე და ბულგარეთის მოძმე ჯარის გვერდით დაიჭირა პოზიციები. მათი მისვლის შემდეგ ადრიანოპოლის დღეები დათვლილია, რადგან ღენ. სტეფანოვიჩმა თან წაიღო საალყო მძიმე არტილერია.

სერბიისა და ჩერნოგორიის მხრით.

დიაკოვიცის აღება.

22 ოქტომბერს ღენ. ვუკოტიჩის ჯარის მარცხენა ფრთამ ფიცხელ ბრძოლის შემდეგ აიღო ქ. დიაკოვიცა. ჩერნოგორელები ჩრდილოეთიდან მოვიდნენ. მათს მოძრაობას დიდი დახმარება გაუწია სერბიელების საველე არტილერიამ. მოკავშირეთა დანაკლისი უმნიშვნელოა, ოსმალებისა კი საგრძნობელი. დამარცხებული ოსმალნი კრასნიჩთა ტომის ოლქისკენ გაიქცნენ. იმავე დღეს ღენ. ვუკოტიჩი ვისოკო-დეჩანის მონასტერში მივიდა, სადაც მცხოვრებნი დიდი სიხარულით მიეგებნენ. არქიმანდრიტმა კირილემ სამადლობელი პარაკლისი გადაიხადა, რომლის შემდეგაც მრავალჟამიერი უგალობეს რუსეთის იმპერატორს, ჩერნოგორიისა და სერბიის მეფეებს.

ქ. დიბრანის აღება.

23 ოქტომბერს სერბიის ცხენოსანთა რაზმის უფროსმა ზოლოვიჩმა, როდესაც იგი ქ. დიბრანის ასაღებად ემზადებოდა, შემდეგი ბარათი მიიღო ალბანელებისაგან.

„ქალაქში ათასი ოსმალო სდგას პოლკოვნიკის უფროსობით. მცხოვრებლებმა იარაღი დააყრევინეს ჯარისკაცებს, ხოლო პოლკოვნიკი შეჰკრეს. მობრძანდი, ქალაქი განებდება“.

პოლკოვნიკმა ზოლოვიჩმა ქალაქი მართლაც მშვიდობიანად აიღო. დიაკოვიცი და დიბრანი შიდა ალბანეთის ქალაქებია.

უკანასკნელი გალაშქრება.

„ტაგეს რუნდშაუს“ ატყობინებენ: ღენ. იანკოვიჩის ჯარი ალესიოს ნავთსადგურთან ჩერნოგორელებს შეუერთდა და დურაცოსკენ იძვრის. დურაცოს აღებით დამთავრდება ალბანეთში სერბიელების გალაშქრება. ჯარი დაპყრობილ ადგილებში დარჩება.

სერბიელები ზღვის ნაპირზე.

სერბიის მესამე ჯარი ადრიატიკის ზღვის ნაპირზე გავიდა მათიას პატარა ნავთსადგურის ახლოს. აღსანიშნავია, რომ ალბანელები წინააღმდეგობას არ უწევენ სერბიელებს.

საბერძნეთის მხრით.

საბერძნეთის ფლოტი.

ოსმალეთის ნავთსადგურებიდან ადესას მისული მგზავრები ამბობენ, რომ საბერძნეთის ფლოტი ზარბაზნის სასროლზე მიუახლოვდა დარდანელის სრუტეს, მაგრამ ოსმალთა სანაპიროების სიმაგრეები ჯერ ჯერობით სდუმანო.

საბერძნეთის მეფე სალონიკში.

საბერძნეთის მეფე ქ. სალონიკს მივიდა. ქალაქსა და ციხის კედლებზე ეროვნული დროშა ფრიალებს.

შინაგან საქმეთა მინისტრიც წავიდა მრავალი მოხელეთ, რათა სალონიკში ახალი მმართველობა შემოიღოს.

ოსმალეთის მხრით.

სტამბოლის ხვედრი.

პეტერბურგიდან იუწყებიან: მიუხედავად მრავალი შუამდგომლობისა, ვერც ერთმა დიდმა სახელმწიფომ ვერ დაიმედა ოსმალეთის მთავრობა, მოკავშირენი სტამბოლში არ შემოვლენო. ევროპის დიპლომატია, როგორც ეტყობა, თანაგრძნობით ეკიდება სტამბოლის თავისუფალ ქალაქად (პორტ-ფრანკად) გადაკეთების საკითხს.

„მტერი კარზეა მომდგარი“.

მთავრობა ოფიციალურად აცხადებს, რომ მტერი ჩათალჯის ციხის წინაშე სდგას, რომელიც სატახტო ქალაქის უკანასკნელ საფარს წარმოადგენს. მთავრობა აფრთხილებს მცხოვრებთ, რომ შესაძლებელია მტერი ქალაქში შემოვიდეს, მაგრამ ნუ აღელდებით, რადგან მიღებულია ყოველი ღონისძიება სატახტო ქალაქის დასაცავადაო.

დეზერტირები.

სტამბოლის კომენდანტი 48 საათის ვადას აძლევს დასაბრუნებლად იმ ჯარისკაცებს, რომელნიც მებრძოლ რაზმებიდან გამოქცეულან და სატახტო ქალაქში იმალებიან.

გამცემთა დასჯა.

ქ. როდოსტოს და სილივრის მეციხოვნე ჯარის უფროსებს, რომელთაც უბრძოლველად დასთმეს პოზიციები, სამხედრო სამართალში აძლევენ.

ბალკანეთი და ევროპა

დეპეშები.

სოფია. დიდ სახელმწიფოთა წარმომადგენლებმა ბულგარეთის მთავრობას შუამდგომლობის წინადადება მისცეს. გეშოვმა უპასუხა, რომ შუამავლობის წინადადებას გადავიტან მთავარ ბინაზე განსახილველად და მოლაპარაკებას გავმართავ მოკავშირე სახელმწიფოთა კაბინეტებთანაო.

ათინა. დიდ სახელმწიფოთა ელჩებმა გარეშე საქმეთა მინისტრს წარუდგინეს შუამავლობის წინადადება.

ვენა. ბელგრადის კორესპონდენტს იტალიის საელჩოდან ატყობინებენ, რომ იტალიაც მომხრეა ალბანეთის ავტონომიისაო.

ვენა. ავსტრიის დელეგაციის სამხედრო კომისიამ დაამტკიცა სამხედრო სამინისტროს ხარჯთ-აღრიცხვა. სამხედრო მინისტრმა განაცხადა: ბოსნიაში და დალმაციაში ჯარის კაცებს სამსახურის ყავლი გაუვიდათ, მაგრამ სამინისტრო მათ არ ანთავისუფლებს, სანამ გაწრთვნილი ახალი ჯარის-კაცები არ ჩადგებიან მათ ალაგასაო. ეს მინისტრის აზრით ანორმალური არ არის და სრულიად ეთანხმება სამხედრო უწყების დებულებასაო. მინისტრმა სთქვა, რომ ავსტრია-ჰუნგრეთის ჯარის იმედი ყოველ წუთს უნდა ჰქონდეს მთავრობასაო.

ჩეხელმა კათოლიკე ხრუბანმა სთქვა: ბალკანეთის სახელმწიფონი მანამდე იმსახურებენ ჩვენ სიმპატიას, სანამ ისინი ებრძვიან საერთო მტერს თავისუფლების მოსაპოვებლად, მაგრამ თუ ავსტრია-ჰუნგრეთის ინტერესების წინააღდეგ გაილაშქრებს ბალკაეთი, მაშინ ჩეხელები ამ ინტერესების დასაცავად უნდა გამოვიდესო.

ბუდაპეშტი. ავსტრიის სამხედრო კომისიამ მიიღო სამხედრო კრედიტები.

რომი. პრესა იტალიის დიპლომატიის მოქმედებით უკმაყოფილოა. დიპლომატია სერბიის წინააღმდეგ ჰმოქმედებსო.

ბუდაპეშტი მომხსენებელმა ზეკეგემკა სთქვა, რომ ბალკანეთის საქმის გამო ჩვენ მოხარულნი ვართ განუწყვეტლივ ვილაპარაკოთ, მხოლოდ მონარქიის ინტერესები უნდა დაცული იყოსო.

პრაგა. „ნაროდნი-ლისტი“ წერილებში ამტკიცებს, რომ სერბიის სახელმწიფოსთვის აუცილებელ საჭიროებას შეადგენს ადრიატის ზღვაზე ნავთსადგურის ქონაო.

დეპეშები

(დეპეშათა პეტერბ. სააგენტო)

საზღვარ-გარედ

3 ნოემბერი

კანალეხასის მოადგილე

მადრიდი. რომანჩესი დასთანხმდა მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის თანამდებობას.

რუსეთის და ამერიკის შეთანხმება.

ლონდონი. რუსეთ-ამერიკის შეთანხმების მთავარი დებულებანი შემუშავებულია კიდეც. ეს შეთანხმება 1832 წლის ხელშეკრულების ნაცვალი იქნება.

არეულობა უნივერსიტეტში.

ვენა. უნივერსიტეტში კლერიკალ და ნაციონალისტ სტუდენტების შორის შეტაკება ხდება ხოლმე.

ნობელის ჯილდო.

სტოკჰოლმი. ნობელის ჯილდო მიუსაჯეს დრამატურგ ჰერგარტ ჰაუპტმანს.

პარიზი. პარლამენტის პრესის წარმომადგენელმა ჟორჟ სიურბიმ დუელში გამოიწვია დეპუტატი ლერუა ბელიე, რომელმაც სთქვა რომ საფრანგეთის გარეშე საქმეთა სამინისტროში პრესისთვის საიდუმლო ფონდი არსებობსო. დუელმა უნაყოფოდ ჩაიარა.

რუსეთი

მიტროპოლიტი ანტონის გარდაცვალება.

პეტერბურგი. დილის ხუთ საათზე გარდაიცვალა მიტროპოლიტი ანტონი.

მამინ-სიბირიაკის გარდაცვალება.

პეტერბურგი. 2 ნოემბერს ღამე გარდაიცვალა მწერალი მამინ-სიბირიაკი.

მიტროპოლიტის დაკრძალვა

პეტერბურგი. მიტროპოლიტის დაკრძალვა 5 ნოემბერს მოხდება.

პეტერბურგი. საზღვაო სამინისტრომ კანონ-პროექტი შეიტანა, სამინისტრო ითხოვს 1913 წლისთვის გემთა ასაგებ გეგმის განსახორციელებლად 58.862.826 მანეთს.

საფოსტო-სატელეგრაფო მთავარმა გამგეობამ კანონ-პროექტი შეიტანა, სადაც იგი ითხოვს 1913 წლისთვის საფოსტო-სატელეგრაფო უწყების გასამრავლებლად, 2.116.256 მან. მინისტრთა საბჭომ დაადგინა საზღვარ-გარედ იყიდოს 5000000 ფუთი ქვის ნახშირი, რკინის გზების საჭიროების დასაკმაყოფილებლად.

რუსეთი

მუშათა გაფიცვა პეტერბურგში.

29 ღვინობისთვეს პეტერბურგში დაიწყო მუშათა გაფიცვა. დილითვე მუშაობაზე ხელი აიღეს ზოგიერთ სტამბის მომუშავეებმა. მუშებმა კრებები გამართეს და სამოქმედო გეგმა შეიმუშავეს. ამის შემდეგ გაიფიცნენ გემთა ასაგების ქარხნის მუშები. 3,000 კაცამდე შეიკრიბა გაფიცული მუშები და შლისელბურგის პროსპექტზე მანიფესტაციით გაიარა. პოლიციამ მანიფესტანტები დაჰფანტა. ღამე მუშათა უბნებში პოლიციამ ჩხრეკა მოახდინა. რამდენიმე მუშა შეიპყრეს.

სამინისტრო და პროფესორები.

თავრიდის სასახლეში ხმა დადის: ვითომც კოკოვცევს უთხოვნია პროფ. პლატონოვისთვის სახალხო განათლების მინისტრის თანამდებობის ასრულება. პლატონოვს თანხმობა გამოუცხადებია, მხოლოდ იმ პირობით, თუ პეტერბურგის და მოსკო-

ვის უნივერსიტეტიდან დათხოვნილ ან გადადგომილ პროფესორებს უკანვე დააბრუნებენო. კოკოვცევი დასთანხმდა პეტერბურგელ პროფესორების დაბრუნებას, მოსკოველ პროფესორების დაბრუნება კი პრემიერმინისტრს დღევანდელ დღეს უხერხულად მიაჩნიაო. პლატონოვსა და მინისტრ შორის მოლაპარაკება შეწყვეტილია.

ტავრიდის სასახლეში.

ახლად არჩეულ დეპუტატების დენა დაიწყო ტავრიდის სასახლეში. კულიტარებში ლაპარაკობენ, რომ საგენტოს მიერ მოწოდებული ცნობები, ამა თუ იმ დეპუტატის პარტიულ ვინაობისა სავსებით ჭეშმარიტი ვერ არისო. შემდეგ რაც უკვე ნათლად გამოირკვევა დეპუტატების პარტიულ დანაწილების სურათი, დავინახავთ, ოპოზიცია საკმაო ძალის პატრონი იქნებაო. ნაციონალისტები ღ მემარჯვენენი ყელმოღერებული დადიან, თითქოს თავის გამარჯვებას ამაყობენო. ნაციონალისტებს ჰგონიათ, რომ ცენტრის ჯგუფად ისინი შეიქმნებიან მეოთხე სათათბიროშიო. მათ უკვე მოლაპარაკება გამართეს მემარჯვენეებთან პრეზიდიუმის შედგენილობის თაობაზე. ნაციონალისტებს ერთი რამ ეინტერესებათ, რას იზამს ოქტომბრისტთა ჯგუფი? მარჯვენა ფრთა კი შეუერთდება მემარჯვენეებს. მაგრამ ვერ მიეკედლება მარცხენა ფრთა? ოპოზიციასაც ძლიერ აინტერესებს ეს საკითხი. ისეთი ოქტომბრისტები, როგორც არიან შიდლოვსკი და მიტრიუკოვი, პირდაპირ აცხადებენ, რომ ისინი ოპოზიციონერებთან ერთად წინააღმდეგობას გაუწევენ სათათბიროს უმრავლესობა პოლიტიკასო. ამისთვის დიდად შესაძლებელია ოქტომბრისტთა ბანაკში განხეთქილება მოხდეს, ორ ნაწილად დაიყოს. ამ მხრივ არც მემარჯვენეთა და ნაციონალისტთა ბანაკი წარმოადგენს სანუგეშო სურათს. ნაციონალისტების ბანაკი შეიძლება გაიპოს ორ ბანაკად ბალაშოვისა და კრუპენსკის მეთაურობით. მემარჯვენეთა ბანაკი კი უკიდურესთა და ზომიერთა ბანაკებად დაიყოფა, პირველის ბელადად იქნება ზამისლოვსკი და პურიშკევიჩი. ფრიად საგულისხმოა ის მოვლენა, რომ სათათბიროს უმრავლესობას ერთი ღირსეული, ნიჭიერი და მომზადებული ადამიანი არა ჰყავთ რომ სათათბიროს ბელადობა გაუწიოს. ამას ჰგრძნობს ოპოზიციაცა სწორედ. ეს აგულიანებს მას და უფრო საშინელ და დაუნდობელ კრიტიკას ამზადებს იგი, ვიდრე მესამე სათათბიროში. მემარჯვენენი სათათბიროს თავმჯდომარედ ჰფიქრობენ აირჩიონ ოდესის უნივერსიტეტის რექტორი ლევაშოვი.

თეატრი და ხელოვნება

ქართული თეატრი. დღეს, 4 ნოემბერს, ქართული დრამატიული დასი, ბ-ნ ვალ. შალიკაშვილის რეჟისორობით, დასდგავს გუცკოვის ცნობილ პიესას **„ურიელ აკოსტა“**-ს წარმოდგენაში საუკეთესო ძალები იღებენ მონაწილეობას.

ზუბალაშვილის სახალხო სახლი. დღეს, 4 ნოემბერს, დანიშნულია **„სალიტერატურო დილა“**. მ. წულუკიძე წაიკითხავს ლექციას: „ქართული ლიტერატურა მეცხრამეტე საუკუნეში“ წაიკითხვენ კუპლეტებსა და სცენებს: კინტოურს, გლეხურს. წაიკითხავენ ლექსებს. გაიმართება ცეკვა. დაუკრავს საზანდარი და სხვა. დასაწყისი შუადღის 12 საათზე.

ზუბალაშვილის სახ. სახლი. ცნობილი ლექტორი **ბ. პალმოვი** დილით წაიკითხავს სახალხო ლექციას: „მეცხრამეტე საუკუნის რუსულ მწერლობის შესახებ“.

სახაზინო თეატრი. დღეს დილით რუსული საოპერო დასი ბ-ნ ივ. პ. ფალიაშვილის ხელმძღვანელობით სდგამს: დილით ოპერას „თავადი იგორი“ დაკლებულის ფასებით; ხოლო საღამოთი—„კომმირა“-ს.

ავლაბრის სახალხო თეატრი. დღეს, 4 ნოემაერს. ავლაბრის სახალხო წარმოდგენების მმართველი წრე ბ-ნ ი. ივანიძის რეჟისორობით, წარმოადგენს ირეთელის დრამას „დამარცხებული“. დასაწყისი საღ. $8^1/_2$ საათზე. ბილეთების ფასები 4 კ—დან —50 კ—მდე.

ხარფუხის თეატრში. 27 ღვინობისთვეს წარმოდგენას რეჟისორობდა არა კ. შათირიშვილი, არამედ ბ-ნი **პეპანოვი.**

სახალხო სახლი. ხუთშაბათს, 1 ნოემბერს, წარმოდგენილ იქმნა „ისმინე, ისრაილ!“ დრამა 3 მოქ. დიმოვისა, თარგ. ვ. შალიკაშვილისა.

ჩვენს საზოგადოებას არა ერთხელ უნახავს სცენაზე ეს პიესა, მაგრამ დაჯერებით ვიტყვი, არას დროს არ შესწრებია ასეთს ხელოვნურ, დაკვირვებულ თამაშს. ყოველი შემსრულებელი სცოცხლობდა სცენაზე და მაყურებელიც მათთან ერთად განიცდიდა. არც ერთს არ უღალატნია როლისათვის; ამ დღეებში ნათლად დავინახე რა შეუძლიან საქმისადმი სიყვარულს, შეგნებას და ერთსულოვნებას. მკაფიოდაც გამოირკვევოდა ამ ძალთა შემაერთებელ ადამიანის უნარი და სიყვარული.

ბ-ნმა ვ. გამყრელიძემ (აარონ ფიშერი) ზედმიწევნით დაგვისურათა მოხუც, ღვთის მოყვარე, სულით და ხორცით დატანჯულ ებრაელის სულის მდგომარეობა, მხოლოდ ცოტა მიმიკა ჰლალატობდა: იგი უფრო ქართველური სახის მეტყველება იყო, ვიდრე ებრაელისა. ქ-ნ პიერეტტას მეტად მძიმე როლი ეკისრნა ამ საღამოს (ანნა, აარონ ფიშერის ასულისა) და თუმცა მისი ამპლუიდან არ იყო, მაგრამ მაინც ხელოვნურად ჩაატარა ნაკისრი როლი. არა ერთხელ მინახავს ქ-ნი პიერეტტა სხვა და სხვა როლებში და ყოველთვის ვხედავდი მასში წრფელ სიყვარულს საქმისადმი. იგი ნამდვილი შეგნებული ხელოვნების მუშაკია, რასაც ამტკიცებს კიდევაც თავის შრომით სახალხო სცენაზე.

ბ-ნ მეტრეველის თამაში უნაკლულო იყო. ბ-ნი ნ. გოცირიძე საუცხოო რაბინი იყო. ჰანკვეტაძეს შრომა და სიყვარული ეტყობა და თუ არ უღალატა თავის მიზანს, იგი ღირსეულ ადგილს დაიჭერს სახალხო სახლის სცენაზე. ურჩევ მეტი ყურადღება მიაქციოს გამოთქმას, დიქციას. მინდიაშვილმა, სალაყაიამ, ნინიძემ დაკვირვებით შეასრულეს თავ-თავიანთი როლები.

გ. ფ.

რედაქტორ-გამომცემელი ნ. კურდღელაშვილი.

განცხადებანი

№ 4711
სქელი პუდრი
კანს ხავერდისავით ანაზებს და ალამაზებს
ფერდ. მიულჰენსი
კოლოფი 30 კაპ. ✦ **პარფიუმერია № 4711**
მისი იმპერატ. უდიდ. სასახლის იჯარადარი.

4711
Fettpuder
№ 4711

Метцль 309266 309286
1434.

სამკურნალო
ექიმთა საზოგადოებისა
მუდმივის საწოლებით.
გადავიდა ახალ ბინაზე
მიხეილის ქუჩა, № 49 და რეუტოვის მიხვევი № 2. ტელეფონი № 1026.
ავადმყოფებს იღებენ:

ალაჯანოვი მიხ.—საშარდე ორგანოთა, ათაშანგისა და კანის სნეულებისა—ნაშუად. 12—1 ს.

ვნუკოვი მ. პ.—ქირურგიულ სნეულ. ნაშუად. 1—2 საათამდე.

ეგიაზაროვი ი. ნ.—შინაგან, ნევრვებისა სულით-ავადმყ. ელექტროტერაპიაი დილ. 11—12 საათამდე.

კიმონტი გ. პ.—ქირურგიულ სნეულ. დილის 11—12 საათამდე.

მაგაკიანი გ. ნ.—შინაგან სნეულებ. და ბავშვების ავადმყ. დილ. $11^1/_2$—$12^1/_2$ სათ.

შამაში ი. ი.—ქირურგიულ ავადმყ. 12—1 საათამდე.

ავილოვიაა ა. ა.—კბილის ავადმყ. $9^1/_2$—$11^1/_2$ საათ.

სამკურნალოში სწამლობენ ელექტრონითა და მასაჟით. ახდენენ გამოკვლევას მიკროსკოპიულ, ბაქტერიოლოგიურსა და ქიმიურს. ყვავილს უცრიან. ძიძებს ამოწმებენ. რჩევის ფასი ათი შაური. ოპერაციები და კონსულტაცია მორიგებით. სამკურნალოს სტაციონალური განყოფილება შესდგება საზოგადო პალატისა და ცალკე ნომრებისაგან.

წამლობა „606“-ით და 914. 1513.

გამოსულია და იყიდება
არჩილ ჯორჯაძის
თხზულებანი

I ტ	„ეროვნულ პრობლემის გარშემო“ ფასი		75 კ.
II „	„ჩვენი საზოგადოებრივობა	„	80 „
III „	„ნააზრევი“	„	65 „
IV „	„წერილები „ცნობის ფურც.“-„მოამბ.“ 1901—1902 წ.	„	85 კ

✦ გამოსულია და იყიდება ✦
ნ. შიუკაშვილის
პიესა „მეგობრობა“, დრამა 4 მოქმედებ.
ფასი 30 კაპ.

გამოსულია და იყიდება
ი. გედევანიშვილის პიესა
„გამცემი“
დრამა 3 მოქმედ. ფასი 25 კ.

არსდება შრომის არტელი
300 კაცისაგან, რკინის გზაზე ბარგის დატვირთვა-გადმოტვირთვისათვის, სათავდებო თანხად საჭიროა 40 მანათი. მიჰმართეთ კომერციულ არტელის კანტორაში:
პუშკინის ქუჩა, № 3. 1575.

ამხ. „ნახშირა“-ს
გამგეობა
აუწყებს **ქვა-ნახშირისა და სათბობ მასალების ტფილისის საწყობთა პატრონებს**, რომ რადგანაც ამ საზოგადოების ხელშეკრულებას ტყვიბულის ქვა-ნახშირის მონოპოლიურ გაყიდვის თაობაზე **ვადა გაუვიდა**, ამისათვის დღეის მერე ვაგონები დაიკვეთეს პირდაპირ ყველა მსურველთაგან საზოგადოების გამგეობის ბინაზე, სოლოლაკის ქუჩა, № 14. 744

ქუთაისის მიხეილის სათავად-აზნაურო ბანკის ტფილისის განყოფილება,
ამით საყოველთაოდ იუწყება, რომ მიმდინარე 1912 წლის ნოემბრიდან განყოფილების სადგომში (სოლოლაკის ქუჩა, სახლი № 6) ყოველ დღე **ნებაყოფლობითი ვაჭრობით გაიყიდება ქვემოდ აღნიშნული მამულები**, რომელიც ბანკს დარჩა:

1) მამული **მელვინისეული**, მე-10 საპოლ. უბ., ელისაბედის ქუჩა № 99.
2) **ქ. აივაზოვისეული**, მე-10 საპოლიციო უბ., მალაკნების ქ. № 29.
3) **გარიევისეული**, მე-12 საპ. უბ., ანდრეევის ქუჩა № 108.
4) **ბალდუროვისეული**, მე-12 საპ. უბ., ანდრევის ქ. № 122.
5) **ბაბაევისეული**, მე-12 საპ. უბ., ელისაბედის ქ. № 167.
6) **აკოფოვისეული**, მე-12 საპოლიც. უბ., დიდუბის ქ. № 18.
7) **ბაქრაძისეული**, მე-12 საპ. უბ., დიდუბე და შერემეტ. ქ. კუთხ. № 9/24.
8) **ბუხრაძისეული**, მე-12 უბ., დიდუბ. ქ. და რაჭის მისახვევი № 19.
9) **ხალიპინისეული**, 1 უბ., კარუსელის დაღმართ. № 35.
10) **გამყრელიძესეული**, მე-7 უბ., მულანოს ქუჩა.
11) **გოცირიძესეული**, მე-8 უბ., ალექსანდროვ. მისახვევი № 6.
12) **ბაინდუროვისეული**, მე-6 უბ, თელავის ქ. № 12.
13) **ცერცვაძისეული**, მე-12 უბ., საგურამოს ქუჩ. № 5.
14) **შერბაბჩევისეული**, სირაჩხანაში № 23.
15) **მიქაძისეული**, 1-ლ თუმანოვის ქუჩა, № 23.
16) **კალატუზოვისეული**, ნორაშნის ქუჩა, № 4.
17) **გენესეული**, კოჯორში.

ამ მამულების თაობაზე დაწვრილებით ცნობათა მიღება შეიძლება ზემოხსენებულ ბანკის განყოფილებაში, ყოველ დღე, დილის 9 საათ. ნაშუადღევის 2 საათამდე, კვირა-უქმის გარდა. 1549

სამშობიარო
თავშესაფარი
თუხარელისა,
გოლოვინის პროსპექტისა და გრიბოედოვის ქუჩის კიმში, № 34, ფეოდოსიის ეკლესიის გასწვრივ. იღებენ ფეხმძიმე და მშობიარე ქალებს დღე და ღამ ყოველ დროს. ცალკე სოომრებიც არის ხელმისაწვდომ ფასებში საზოგადოც. ორ-საწოლიანი ოთახი 2 მან. და მომშობიარებისათვის 6 მან. არის საზოგადო ოთახში ხელმისაწვდომ ფასში, დღე-ღამე 1 მან. იღებენ დედათა ავადმყოფობით სნეულთა და საბებოს საქმისათვის. ძიძებსა და ქალებს ამოწმებს ყოველ დღე, დილის 1—12 ს. თავშესაფარის გამგე ექიმი მ. გ. **მირკარტუმოვი.** 1037.

ექიმ ნაგასარდიანის
პირველი კერძო
სამკურნალო
დაარსებულია 1880 წელს.
(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).
ავადმყოფების მიღება ყოველ დღე გარდა კვირისა.
დილით:
„606“—11—12 ს. შეშხაპუნება კონსულტატიურად.

ბ. ა. ნაგახარდიანი: 11—12 ს. ქირურგიული, და ვენერიული (სიფილ.) ავად.

ბ. გ. აგახაროვი: 1—2 ს. შინაგანი და ბავშვთა ავადმყ.

კ. მ. ჩიქოვანი: $9^1/_2$—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ზ. ი. ბაბანასოვი: 10—11 ს. საბებიო ქალებისა და ბავშვებისა.

ნ. ტ. მულინი: 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.

მ. გ. ავეტისიანცი: 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.

გ. ი. გურგენოვი: 12—1 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

ა. პ. კარაპეტიანცი: 12—1 ს. შინ. ავ. საბავშვო და ყვავილის აცრა.

ექიმი ქალი **ე. ნ. ამბრუმოვა-მელ ქიანი** 1—2 ს. საბებიო დ. ქალების ავადმ.

საღამოთი:

მ. გ. ავეტისიანცი: 6—7 საათ.

რჩევა-დარიგება 50 კაპ. ხელმოკლეთა ვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციე მორიგებით.

სამკურნალოს დირექტორი მედიცინის
1078 დოქტორი **ბ. ა. ნ. გახარდიანი.**

გამართვა ქარხნებისა:
წისქვილებისა, ხეტყის სახერხ ქარხნებისა, ხელოვნურ **ყინულის დასამზადებელ** მოწყობილებისა, **მატყლის საჩეჩ** და **სართავ** ქარხნებისა **ნავთისა და ორთქლით ამმოძრავებელ მანქანებით**, როგორც ახალის ისე ნახმარებით, **სიმინდის საცეხვ** მანქანების დაბარება, **ავტომობილებისა, ნავებისა** და სხვა ტფილ. ელისაბედ. ქ № 94, ბინის ნომერ. 10.
671. **გ. ი. პოჩეკაცოვი.**

ქირავდება
სარდაფი
85 ოთხკუთხი საჟენი, ღვინის საქაჭროდ ან საქონლისა დ მასალების საწყობად, **თათრის მოედნის მახლობლად**, პატარა სირაჩხანაში, № 13. ჰკითხეთ მეეზოვეს ალბერტს. 727.

ქართულ ენაზე
ჭრა-კერვის წიგნი
თვით-მასწავლებელი 128 ნახატით, ახალი მეთოდი. ექვსი ნაწილი: ქართული, იმერული, ევროპიული, თეთრეული მანდილოსანთ და ბავშვთათვის. ჟურნალების მოხმარება შედგენილი და გამოც. **სოფიო ი. სიმონოვის მიერ.** ყდით 3 მ., გაგზავნით 3 მან. 50 კ. ვინც ათზე მეტს იყიდის ფოსტის გასაგზავნი არ გადახდება. წიგნის გამოწერა შეიძლება ფასდადებითაც.
მისამართი; Телавъ, школа кройки и шитья Соф. Іос. Симоновой. Бульварный пер., 2, соб. д. 1231

ინჟენერი
ი. ს. კონდოევი
ტფილისი, ელისაბედის ქ. 164, მაჩაბლის ქ. კუთხე.
ცემენტი
ასფალტი, უდრონი, ცეცხლის მძლე აგური და თიხა, ლურსმულობა, „заклепки“, გულცარიელი აგური და კრამიტი და სხ., საშ. მასალა.
რკინის კოჭები,
საქვაბე რკინები,
საკუთხე რკინები,
სახურავების რკინები.
(შავი და ცინკნარევი).
ტელეფონი: კანტორისა № 10—93 აგურხანისა № 11—96.
საშენებელი აგურები საკუთარ აგურხანიდან ვაკეზე 1474

მიიღეთ საუკეთესო გემოს მარცვლოვანი,
ქვირითის (კეტოვ.) ხიზილალა,
თევზის მრეწველნი
ძმ.
ძემველოვები.
პუშკინის ქ., საკუთარი ს. № 9.
ტელეფონი № 712.
1131
გამოსული ქერჩის
სელიოტკები
და ყოველგვარი
კონსერვები.
მოგვდის მუდამ დღე საკუთარი სამრეწველოდან ახალი თევზი, ხიზილალა, (ქიტკა), ორაგული, თართი, ტარაღანა, ლოქო და სხვა. და აგრეთვე ყოველ დროს იყიდება მაღაზიაში **მოხარშული დოში, ზურგიელი,** და ყოველგვარი
✦ შავი ხიზილალა ✦

ტფილისის ქალაქის გამგეობისაგან
მიმდინარე წლის ნოემბრის ორში, შუადღის 12 საათზე, დანიშნულია
საჯარო ვაჭრობა
ავლაბრის აგარაკში მდებარე 10 დესეტინა და 1200 ოთხ.-კ. საჟ. საქალაქო, **გაჯის საწვავ ადგილის იჯარით გასაცემად.**
ამ ადგილის გეგმისა და საიჯარო პირობების ნახვა შეიძლება მუდამ დღე, კვირა-უქმის გარდა, ქალაქის გამგეობის მე-4 განყოფილების საიჯარო ნაწილში. 1550.

ტფილისის ქალაქის გამგეობა
ამით აცხადებს, რომ მიმდინარე წლის 5 ნოემბერს შუადღის 12 საათზე დანიშნულია
საჯარო ვაჭრობა
ვერის დაღმართზე, რეიტერის სახლის გასწვრივ, ვერის მოედნის პირდაპირ მდებარ **საქალაქო მიწის**
იჯარით გასაცემად, რათა აიგოს საიჯარო სახლი.
პირობების გაგება და გადაშინჯვა შეიძლება, კვირა უქმის გარდა, ყოველ დღე საქმის დროს ტფ. ქალაქის გამგეობას საიჯარო განყოფილების მე-4 ნაწილში, 1550

1912 წ. მიიღება ხელის მოწერა
დასურათებულ საყმაწვილო ჟურნალ
„ნაკადულ“-ზე
✦ **წელიწადი მერვე.** ✦
ჟურნალი გამოვა ჩვეულებრივი პროგრამით და საგანგებოდ არჩეულ სარედაქციო კომისიის ხელმძღვანელობით, მონაწილეობას ღებულობენ ჩვენი ცნობილი მწერლები და პედაგოგები.
წლიურ ხელის მომწერლებს მიეცემათ:
24 **წიგნი „ნაკადულისა“** მცირე წლოვანთათვის; 12 **წიგნი „ნაკადულისა“** მოზრდილთათვის.
საჩუქრად მიეცემათ წლიურ ხელის მომწერლებს
დასურათებული 120-ზე მეტი ორიგინა- ●● —●● ლური იგავ-არაკი ალ. მირიანაშვილისა.
ფასი ჟურნალისა; წლიურად ორივე გამოცემა 5 მან., ნახევარ წლით—3 მან. ცალ-ცალკე: მცირე წლოვანთათვის 24 წიგნი—3 მან. მოზრდილთათვის 12 წ. 3 მ. ფულის შემოტანა შეიძლება ნაწილ-ნაწილადაც.
ხელის მოწერა მიიღება **ტფილისში** „ნაკადულის“ რედაქციაში, გოლოვინის პროსპექტზე, ზუბალაშვილების სახ. Головинскій просп, д. № 8 და წერა-კითხვის საზოგადოების მაღაზიაში. **ქუთაისში:** ისიდორე კვიცარიძესთან, თ. მთავრიშვილთან, მარიამ ყაუხჩიშვილთან და „ნაკადულის“ აგენტებთან; **სამტრედიაში**—ივანე გლადკოვთან, **ფოთში**—თეოფილე კანდელაკთან, **ბათომში**—კნ. სოფიო ნაკაშიძესთან და ტრაფიმ ინასარიძესთან, **დ. ხონში**—ეკატერინე ვასილიასულ ბაბტაძესთან, **ოზურგეთში**—ლეო იმნაძესთან, **თელავში**—ვანო პატაშვილთან, **ახალციხეში**—კონსტანტინე გვარამაძესთან, **ბაქოში**—ვასილ ახვლედიანთან და ივანე ელიაშვილთან, **გორში** ნინო ლომაურთან და ქ-ნ ჯავახიშვილთან, **სოხუმში**—კნ. მარიამ ანჩაბაძესთან, **ჭიათურაში**—ივანე გომელაურთან, **განჯაში** გ. ამბოკაძესთან და **ერევანში** კ. ოღიშარიასთან. **ყარსში**—ფერშალ ვანო საათაშვილთან.
რედაქტორი **ნინო ნაკაშიძე.**
წ.—1393—წ. გამომცემელი **თავ. პავლე იოსების ძე თუმანიშვილი.**

ძმ. საფარიანცი და ტერ-საჰაკოვი
პარიზული მაღაზია
გოლოვინის პროსპ. სამხედრო ტაძრის პირდაპირ.
მაღაზიასთან არსებულ
სამაგალითო საქალთნოში განახლდა
შეკვეთის მიღება
რუსეთისა და საზღვარგარეთის ქარხნების
საუკეთესო მასალებისა.
თავისუფალი არჩევანი შეკვეთილ სამუშაოსი, როგორც
კაცებისა აგრეთვე ქალების მოდელებისა.
სრულის პატივისცემით
ძმ. საფარიანცი და ტერ-საჰაკოვი.
ტელეფონი № 258. 1525

ტფილისი, მუხრანის ქუჩა, № 12 სტამბა „შრომა“.